

მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულება
(იურიდიული პირი აბონენტებისთვის ს1 მობილური ქსელით სატელეფონო მომსახურების სააბონენტო პაკეტის სანაცვლო პაკეტი)

არასტანდარტული - ✓

თარიღი 19.04.2023

N	აბონენტის საიდენტიფიკაციო კოდი	სააბონენტო ანგარიშის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სატელეფონო ნომერი
1	202339344	0001063744	570502102
2	202339344	0001063848	570502103

სატარიფო გეგმა (ფასები მოცემულია ლარში დღგ-ს ჩათვლით)

სააბონენტო პაკეტი	სტანდარტი	
სააბონენტო გადასახდელი	5	
პაკეტის მოქმედების ვადა	მომდევნო თვის 1 რიცხვამდე	
1 წუთი ზარის საფასური	(ტარიფები მოცემულია ლარში)	
ზარი კომპანიის შიდა (ფიქსირებულ) ქსელში	ულიმიტო	
ზარი სილქნეტის მობილურ და სხვა ოპერატორის მობილური/ფიქსირებული (სადენიანი/უსადენო) ქსელში	120 წუთი (მოიცავს სააბონენტო გადასახდელი)	ლიმიტის (120 წუთი) ამოწურვის შემდგომ - 0.07
1 SMS	200 სმს (მოიცავს სააბონენტო გადასახდელი)	ლიმიტის (200 სმს) ამოწურვის შემდგომ - 0.03
მობილური ინტერნეტი	200 მბ (მოიცავს სააბონენტო გადასახდელი)	ლიმიტის (200 მბ) ამოწურვის შემდგომ 1 მბ - 0.10
აქტივაციის კოდი	*215#	
სიმ ბარათის აქტივაცია	გათვალისწინებულია სააბონენტო გადასახდელში	
დამატებითი ინფორმაცია	პირველი 3 (სამი) თვის განმავლობაში, აბონენტი 5 ლარის ფარგლებში მიიღებს სააბონენტო გადასახდელში შემავალი: სხვა ოპერატორების მიმართულებით 120 წუთის, 200 სმს-ის და მობილური ინტერნეტის (200 მბ)ს გაორმაგებულ ოდენობას.	
გადახდის თარიღი	მომსახურების საფასურის გადახდა ხდება შემდგომი გადახდი სისტემით (მომსახურების მიღების შემდეგ), ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვის ჩათვლით .	

შენიშვნა:

1. გამოუყენებელი SMS-ების რაოდენობა მომდევნო თვეში არ გადადის.
2. IX ინტერნეტის მომსახურების ტარიფებისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ ინფორმაცია აბონენტს შეუძლია გაეცნოს კომპანიის ვებ გვერდზე: www.silknet.com, ან/და კომპანიის მომსახურების ცენტრებში, აგრეთვე სატელეფონო მომსახურების ცენტრში 2100 200.

მომსახურების პირობები:**1. ტერმინთა განმარტება**

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს, ამ „ხელშეკრულებას“ მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა (თუ „ხელშეკრულებით“ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს):

- 1.1. „**აბონენტი**“ – ბოლო მომხმარებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე საკუთარი მოხმარებისთვის მიეწოდება მობილური საკომუნიკაციო მომსახურება/მომსახურებები და რომლის მიერაც ხდება „ხელშეკრულებით“ და მისი დანართ(ებ)ით განსაზღვრული „მომსახურების საფასურის“ გადახდა.
- 1.2. „**კომპანია**“ – სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“, საიდენტფიკაციო კოდი: 204566978.
- 1.3. „**მხარე/მხარეები**“ – „აბონენტი“ ან/და „კომპანია“.
- 1.4. „**კომისია**“ – სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.
- 1.5. „**მესამე პირი**“ – ნებისმიერი პირი გარდა „აბონენტის“ ან/და „კომპანიისა“.
- 1.6. „**აქცია**“ – „კომპანიის“ მიერ შესაბამისი „მომსახურების საფასურის“ ან/და „მომსახურების“ გაწევის პირობების „აქციის“ ვადით დროებითი ცვლილება უკეთესი პირობებით.
- 1.7. „**აქციით სარგებლობის/აქტივაციის საფასური**“ – „სილქნეტის“ მიერ „აქციით“ სარგებლობისათვის/აქტივაციისათვის დაწესებული ერთჯერადი ან/და ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც „აბონენტს“ ჩაოყვრება „ნომრის“ ანგარიშიდან „აქციის“ გააქტიურებისთანავე ან/და „აქციით“ დადგენილ ვადებში. „აქციით სარგებლობის/აქტივაციის საფასურის“ ჩამოჭრა არ არის დამოკიდებული: ა) „აბონენტის“ უფლებაზე ვადაზე ადრე შეწყვიტოს „აქციით“ სარგებლობა; ბ) „აბონენტის“ უფლებაზე ფაქტობრივად ისარგებლოს „აქციით“.
- 1.8. „**ავტომატურად გაგრძელებადი პაკეტი**“ – პაკეტის გააქტიურებიდან შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ, ანგარიშზე საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, პაკეტი გრძელდება ყოველ ჯერზე ავტომატურად, იმავე ვადით, დამატებითი USSD კოდის აკრეფის გარეშე; იმ შემთხვევაში, თუ პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვისას ანგარიშზე არ იქნება საკმარისი თანხა, პაკეტი ავტომატურად განახლდება ბალანსის საკმარისი თანხით შევსებისთანავე (აქციის შემთხვევაში - მხოლოდ აქციის ვადის დასრულებამდე პერიოდზე, ხოლო აქციის ვადის ამოწურვისას აქციით ჩართული პაკეტი განახლდება სტანდარტული ტარიფით); ამასთან, არასაკმარისი თანხის შემთხვევაში თუ ბალანსი ამოწურულია ან ფიქსირდება დავალიანება ან ანგარიშზე არის არასაკმარისი თანხა პაკეტის განახლებისათვის, მისი საკმარისი თანხით შევსებამდე აბონენტს პაკეტის მოქმედება შეეზღუდება. ამასთან, პაკეტის განახლებისთვის არასაკმარისი, მაგრამ დადებითი ბალანსის შემთხვევაში - მოხდება ანგარიშზე არსებული თანხის გახარჯვა შესაბამისი მოცულობის მობილურ ინტერნეტზე /სასაუბრო წუთებზე / მოკლე ტექსტურ შეტყობინებებზე (პაკეტით გათვალისწინებული მომსახურებ(ებ)ის შესაბამისად), იმ სტანდარტული ტარიფით, რაც დადგენილი იქნება კონკრეტული მომენტისთვის პაკეტის ამოწურვის შემდგომ მოხმარებად მობილურ ინტერნეტ მოცულობაზე /სასაუბრო წუთებზე / მოკლე ტექსტურ შეტყობინებებზე.
- 1.9. „**ჯეოსელი**“ – სილქნეტის მიერ მიწოდებული მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბრენდული სახელწოდება;
- 1.10. „**ჯეოსელის ქსელი**“ – სილქნეტის მობილური საკომუნიკაციო ქსელი;
- 1.11. „**ხარისხიანი მომსახურება**“ – მომხმარებლისათვის გაწეული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება, რომელიც შეესაბამება მოქმედ ტექნიკურ ნორმებს, ხელშეკრულების პირობებს, აგრეთვე ინფორმაციას (რეკლამას) მომსახურების შესახებ;
- 1.12. „**მიღება-ჩაბარების აქტი**“ – „მხარეთა“ მიერ ხელმოწერილი წერილობითი აქტი, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს ტერმინალური მოწყობილობების გადაცემის (გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურება ხდება ელექტრონულად), შეცვლის ან/და „აბონენტის“ მიერ „კომპანიისთვის“ უკან დაბრუნების (დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში) ფაქტი; ასევე, აბონენტის წინასწარი მოთხოვნის შემთხვევაში – „მომსახურების“ ან/და მასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურების გაწევის/მიღების ფაქტი.
- 1.13. „**მომსახურება**“ – „ხელშეკრულებით“ ან/და მისი „დანართებით“ განსაზღვრული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება, დამატებითი მომსახურება, სპეციფიკური მომსახურება;
- 1.14. „**ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება**“ – ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის ადგილობრივი, საერთაშორისო, საქალაქთაშორისო, მობილური საკომუნიკაციო კავშირით, ინტერნეტით და მათგან გამომდინარე ტრანზიტით მომსახურება;
- 1.15. „**მობილური საკომუნიკაციო მომსახურება**“ – საერთო სარგებლობის სატელეფონო მომსახურებები, რომლებიც განკუთვნილია პირდაპირ ან არაპირდაპირ, ეროვნული ან ეროვნული და საერთაშორისო ზარების და მათთან დაკავშირებული საკომუნიკაციო მომსახურებების (მაგ.: მოკლე ტექსტური შეტყობინება) განსახორციელებლად და მისაღებად, ეროვნულ ან საერთაშორისო წმენდის გეგმაში მითითებული შესაბამისი ტელეფონის ნომრის ან ნომრების გამოყენებით, რომლებიც საერთო სარგებლობის მობილური საკომუნიკაციო ქსელით არის უზრუნველყოფილი;
- 1.16. „**ტარიფი**“ – კომპანიის მიერ კონკრეტულ მომსახურებაზე / მომსახურებებზე დადგენილი და სატარიფო გეგმით განსაზღვრული მომსახურების საფასური/საფასურები;
- 1.17. „**წუთობრივი მომსახურების საფასური**“ – მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის მიწოდებული ისეთი მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისთვის დადგენილი ტარიფი, რომელიც გამოითვლება წუთობრივად; წუთობრივი მომსახურების საფასურის დარიცხვა ხორციელდება გაწეული მომსახურების წამობრივი სიხუსტით;
- 1.18. „**მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი**“ – სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი ელექტრონული კომუნიკაციებისა და მათგან გამომდინარე მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი (ომზუდსმენი);
- 1.19. „**პირგასამტეხლო / „ჯარიმა“**“ – „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ფინანსური ან/და სხვა ვალდებულებების ჯაროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებადი უზრუნველყოფის საშუალებები, რომელიც ეკისრება აბონენტს „ხელშეკრულებით“

- განსაზღვრული ფინანსური ან/და სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო და რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება ამ „ხელშეკრულებით“ და მისი დანართებით.
- 1.20. „სააბონენტო პაკეტი“ - მომსახურების შესაბამისი სატარიფო გეგმით გათვალისწინებული მომსახურებ(ებ)ის სქემა, შესაბამისი საფასურ(ებ)ის დეტალური აღწერით;
 - 1.21. „სააბონენტო გადასახდელი“ – კომპანიის მიერ აბონენტისთვის მომსახურებით განსაზღვრულ პერიოდში სარგებლობისთვის დაწესებული ფიქსირებული გადასახდელი;
 - 1.22. „სააბონენტო ანგარიში“ – „კომპანიის“ მიერ „აბონენტისთვის“ მინიჭებული პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც გაერთიანებულია ერთი ან/და რამდენიმე მომსახურების სახე და რომელზეც ხორციელდება შესაბამისი მომსახურების საფასურის დარიცხვა და (წინასწარი ან შემდგომი) გადახდა. ერთ აბონენტს, შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სააბონენტო ანგარიში და პირიქით - ერთიანი სააბონენტო ანგარიში. ერთიანი სააბონენტო ანგარიშზე გაერთიანებულია „კომპანიის“ მიერ „აბონენტისთვის“ მიწოდებული მომსახურებები, რომელზეც ხორციელდება მომსახურებების ჯამური ღირებულების დარიცხვა და გადახდა (წინასწარი ან შემდგომი გადახდის წესით).
 - 1.23. „საკონტაქტო ინფორმაცია“ – „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებაში“ ან მხარეთა შეთანხმებული სხვა გზით დაფიქსირებული სრული საფოსტო მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი; ასევე კომპანიის („სილქნეტის“) სრული საფოსტო მისამართი, საინფორმაციო სამსახურის ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
 - 1.24. „საიდენტიფიკაციო ინფორმაცია“ – ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, დასახელების, საიდენტიფიკაციო კოდის შესახებ; ასევე, ინფორმაცია აბონენტის სახელის, გვარის, პირადი ნომრის (იურიდიული პირის შემთხვევაში, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, დასახელების, საიდენტიფიკაციო კოდის) შესახებ;
 - 1.25. „პერსონალური ინფორმაცია / მონაცემები“ – აბონენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, რეგისტრაციის მისამართი, მომსახურების სახეობ(ებ)ის, გაწეული მომსახურების თარიღის, ოდენობის, საფასურის შესახებ, ასევე ნებისმიერი ინფორმაცია აბონენტის მიერ გადახდილ/გადასახდელ თანხაზე, ტრაფიკზე, გაწეულ მომსახურებებზე (საბილინგო ან სხვა სისტემაში დაცული ნებისმიერი მონაცემი მომსახურების, ზარის წამოწყების/გამოძახების შესახებ, რომელიც, მათ შორის, დაკავშირებულია, ზარ(ებ)ის/მომსახურების კომპლუცისათან, გადამსამართლებსათან, ზარ(ებ)ის ხანგრძლივობასთან, იმ მოწყობილობის ადგილმდებარეობასთან, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მომსახურების მიღება) ან/და აბონენტის ნებისმიერი სხვა ინფორმაცია/მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიკაციულ/იდენტიფიცირებად პირთან;
 - 1.26. „პერსონალური მონაცემთა დამუშავება“ - ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამქაფდება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.
 - 1.27. „თანხმობა“ – მონაცემთა სუბიექტის (ფიზიკური პირი აბონენტის) მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ, მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე, მათ შორის, შესაძლო პირებისთვის გადაცემაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი, მათ შორის ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული საშუალებით გამოყენებით დაფიქსირებული თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება.
 - 1.28. „ტრაფიკი“ – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში გადაცემულ/მიღებულ მონაცემთა (სიგნალების, გზავნილების, პაკეტების და ა.შ.) ერთობლიობა.
 - 1.29. „ინფორმაცია ტრაფიკის შესახებ“ – მონაცემები, რომლებიც მუშავდება ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში ელექტრონული გზავნილის გასაგზავნად ან ამგვარი გზავნილის ინვოისის საშუალებით გასაგზავნად (ისინი ეხება ვადებს, მასშტაბებს, გამოყენებულ ქსელებსა და ტექნიკურ მონაცემებს).
 - 1.30. „უსაფრთხოების კოდები“ – “მომხმარებლის” სახელი, პაროლი, PIN/PUK კოდები და სხვ.
 - 1.31. „ბილინგის ინფორმაცია“ – აბონენტისთვის „სილქნეტის“ მიერ მიწოდებული მომსახურების ან „სილქნეტის“ ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთვის (ტრაფიკის) და მათი საოპერაციო რესურსების გარკვეულ პერიოდში გამოყენებული მოცულობის შესახებ მონაცემები, რომელსაც „სილქნეტი“ აწვდის აბონენტს ანგარიშსწორების განხორციელების მიზნით.
 - 1.32. „სიმშარათი“ – „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად „სილქნეტის“ მიერ „აბონენტისათვის“ გადაცემული პერსონალური საიდენტიფიკაციო ბარათი, რომელზეც დაპროგრამებულია/გაწერილია „ნომერი“, რომელიც უზრუნველყოფს „აბონენტის“ „ტერმინალური მოწყობილობის“ კავშირს „სილქნეტის“ ქსელთან და რომელიც გამოიყენება „აბონენტის“ მიერ „მომსახურების“ მისაღებად.
 - 1.33. „სატელეკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობა“ (შემდგომში „ტერმინალური მოწყობილობა“) – საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ინტერფეისთან სადენით, ოპტიკური ბოჭკოთი ან ელექტრომაგნიტური საშუალებით პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ინფორმაციის გასაგზავნად, დასამუშავებლად ან მისაღებად, ასევე თანამგზავრული მიწისზედა სადგურის მოწყობილობა (მოწყობილობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს რადიო საკომუნიკაციო სიგნალის მხოლოდ გადაცემისთვის (ტრანსმისია) ან გადაცემისა და მიღებისათვის, ან მხოლოდ მიღებისათვის თანამგზავრული სისტემების მეშვეობით);
 - 1.34. „ხელშეკრულება მობილური საკომუნიკაციო მომსახურებ(ებ)ის გაწევის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – წერილობითი (მათ შორის, ელექტრონული), დისტანციური ან სხვა ფორმის შეთანხმება მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის თაობაზე, მის ხარისხზე, მომსახურების ტარიფზე და სხვა პირობებზე;
 - 1.35. „დისტანციური გარიგება“ – ერთი ან რამდენიმე დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დადებული შეთანხმება მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის, დისტანციური გაყიდვისა და მომსახურების მიწოდების თაობაზე, მომსახურების მიმწოდებლისა და მომხმარებლის ერთდროული ფიზიკური დასწრების გარეშე;
 - 1.36. „განვადება“ – შეთანხმება მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის მიმდინარე მომსახურების ანგარიშის გადახდის გადავადების ან/და მომსახურების მიმწოდებლის მიერ მიწოდებული სატელეკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობის საფასურის შეთანხმებული გრაფიკით გადახდის შესახებ;
 - 1.37. „მომხმარებლის თანხმობის დამადასტურებელი მექანიზმი“ – მომხმარებლის მიერ მომსახურების ხელშეკრულების დადების ნების გამოვლენის დადასტურების საშუალება, როგორცაა პირადი ხელმოწერა (მათ შორის, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა), დისტანციური გარიგების შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტი – რომელიც აღნიშნავს სიტყვებს „შევეთა და გადახდა“, ან მსგავსი შინაარსის მატარებელ სხვა სიტყვებს – თითის დაჭერა, კოდური სიტყვის ან ერთჯერადი კოდის გამოყენება, ან მომხმარებლის სხვა მოქმედება, რომელიც ადასტურებს მის თანხმობას (მაგ., მომხმარებლის მიერ ციფრების კომბინაციის აკრეფით მომსახურებით სარგებლობა);
 - 1.38. „ფროიდი“ – „მომსახურებისთვის“ დაწესებული „მომსახურების ღირებულების“ გადახდისაგან თავის არიდების გზით „მომსახურების“ არალეგალური გზებით, უსასყიდლოდ ან/და შემცირებულ ფასად ან/და „ხელშეკრულების“ (მისი დანართების) პირობების დარღვევით მიღება;
 - 1.39. „უნებართვო ჩართვა“ – მომსახურების მიმწოდებლის ნებართვის გარეშე, მისი მომსახურებით ან მისი ქსელით პირის მიერ სარგებლობა ან/და მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდების დროს, მომხმარებლისთვის განკუთვნილი ქსელით/მომსახურებით შესაძლო პირის მიერ თვითნებურად სარგებლობა;

- 1.40. **eSim** - „აბონენტის“ ტერმინალურ მოწყობილობაში ჩაშენებული პერსონალური საიდენტიფიკაციო მოდული, რომელზეც გაწერილია „ნომერი“, რომელიც უზრუნველყოფს „აბონენტის“ „ტერმინალური მოწყობილობის“ კავშირს „სილქნეტის“ ქსელთან და რომელიც გამოიყენება „აბონენტის“ მიერ „მომსახურების“ მისაღებად;
- 1.41. **„SIM Boxing“** - საერთაშორისო ზარების გარდაქმნა ლოკალურ ზარებად მოწყობილობის მეშვეობით, რომელშიც განთავსებულია სიმბარათი;
- 1.42. **„დაუმშავი პროდუქტია“** - ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხყოფილი, უდანაშაულობის პრეზუმეციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქტია;
- 1.43. **„საავანსო/საკრედიტო სისტემა“** - მომსახურების საფასურის შემდგომი გადახდის სისტემა „ჯეოსელი“;
- 1.44. **„წინასწარი გადახდის სისტემა“** - მომსახურების საფასურის წინასწარი გადახდის სისტემა „ლაილაი“;
- 1.45. **M2M მომსახურება** - მონაცემთა გადაცემა ან/და კავშირი მოწყობილობებს, პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებულ აპლიკაციებს, ან მოწყობილობასა და აპლიკაციას შორის ავტომატურ რეჟიმში ან ადამიანის მინიმალური ჩარევით;
- 1.46. **IoT (საგანთა ინტერნეტი)** - ინფრასტრუქტურა, რომელიც მაიდენტფიციური ელემენტებით აკავშირებს სხვა მოწყობილობებს ან/და სისტემებს და უზრუნველყოფს მათ შორის მონაცემთა გადაცემას ან/და კავშირს;
- 1.47. **„ნომერი/ნომრები“** - „სილქნეტის“ მფლობელობაში არსებული თავისუფალი ნუმერაციის რესურსიდან „ხელშეკრულების“ საფუძველზე და მისი მოქმედების ვადით „აბონენტისათვის“ გადაცემული და „აბონენტის“ მიერ არჩეული კონკრეტული სატელეფონო ნომერი/ნომრები ან/და აბონენტის მფლობელობაში არსებული ნომრები (პორტირებული აბონენტის ან/და სხვა შემთხვევაში); სატელეფონო მომსახურებისას, შესაბამისი სატელეკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად გამოყენებულ ნუმერაციის რესურსი აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში;
- 1.48. **„საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების ნომრები“** - საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულებით“ გათვალისწინებული საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების ნომრები, რომლებიც მოცემულია მომსახურების მიწოდების ვებგვერდზე;
- 1.49. **„სამუშაო დღე“** - დღე, შაბათის, კვირის, ასევე „კანონმდებლობით“ განსაზღვრული უქმე დღეების გარდა;
- 1.50. **„რეგლამენტი“** - „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი“;
- 1.51. **„კანონმდებლობა“** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
- 1.52. **კომპანიის საკონტაქტო მონაცემები** - საფოსტო მისამართი: თბილისი, 0112, წინამძღვრიშვილის N95; საინფორმაციო სამსახურის ტელეფონის ნომერი: (032) 2100100; ელექტრონული ფოსტის მისამართი: contact@silknet.com
- 1.53. **კომპანიის ვებგვერდი:** www.silknet.com

2. „ხელშეკრულების“ საგანი

- 2.1. ამ ხელშეკრულების საგანია კომპანიის მიერ აბონენტისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მობილური საკომუნიკაციო მომსახურებ(ებ)ის და მასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებების მიწოდება, რომელთა დეტალური აღწერა, პირობები და ტარიფები მოცემულია ამ ხელშეკრულებაში ან/და მის დანართებში (მომსახურებ(ებ)ის შესაბამის სატარიფო გეგმაში/გეგმებში), ასევე კომპანიის ვებგვერდზე.
- 2.2. „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, „სილქნეტი“ გადასცემს „აბონენტს“, „სიმბარათს“ მასზე დაპროგრამებული „ნომრით“ და უზრუნველყოფს მის ჩართვას „სილქნეტის“ მობილურ სატელეფონო ქსელში „მომსახურების“ მისაღებად; აბონენტის მიერ მომსახურებ(ებ)ის მისაღებად შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას E-Sim-ი. ხოლო „აბონენტი“ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია გადაიხადოს გაწეული „მომსახურებ(ებ)ის“ საფასური და უფლებამოსილია ისარგებლოს შესაბამისი „მომსახურებ(ებ)ით“;
- 2.3. „სილქნეტი“ უფლებამოსილია დაადგინოს ერთიანი უწყვეტი ზარის მაქსიმალური ხანგრძლივობა, როგორც „სილქნეტის“ შიდა ქსელში, ისე სხვა ოპერატორის მიმართულადაც (ქსელის გარეთ) განხორციელებულ ან/და სხვა ოპერატორისაგან შემომავალ ზარზე, რაც განთავსდება კომპანიის ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 2.4. „აბონენტი“ ირჩევს მისთვის სასურველ „აქციას“, „მომსახურების ტარიფს“ ან/და „სატარიფო გეგმას“, აგრეთვე ანგარიშსწორების და გადახდის მეთოდს, რომლებიც გააქტიურდება „ნომრის“ აქტივაციის დროს;
- 2.5. აქციის პირობებსა და ტარიფებს, ასევე ცალკეულ სატარიფო გეგმებს აბონენტი შეძლებს გაეცნოს „სილქნეტის“ ვებგვერდზე;
- 2.6. საავანსო/საკრედიტო სისტემა „ჯეოსელით“ მოსარგებლე აბონენტისათვის „ნომრის“ საწყისი აქტივაცია მოხდება „მხარეების“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერისთანავე არაუგვიანეს სამი (3) სამუშაო საათისა;
- 2.7. წინასწარი გადახდის სისტემა „ლაილაით“ მოსარგებლე აბონენტისათვის „ნომრის“ საწყისი აქტივაცია განხორციელდება „ნომრის“ ანგარიშზე „აბონენტის“ მიერ მინიმალური საავანსო თანხის შეტანისას ან/და „აქციით“ განსაზღვრული პირობების შესრულებისთანავე (მათ შორის, „სილქნეტის“ მიერ „აქციით“ განსაზღვრული სპეციალური სიმბოლოებისაგან და/ან ციფრებისგან შემდგარი კოდის აკრეფისთანავე);
- 2.8. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია „დანართ(ებ)ის“ გაფორმების გზით, დეტალურად/ინდივიდუალურად გაიწეროს „მომსახურების“ გაწევის პირობები.

3. ანგარიშსწორება და ტარიფები

- 3.1. სტანდარტული ტარიფები: სტანდარტული სააბონენტო ნომრით სარგებლობის საფასური „საავანსო/საკრედიტო სისტემა ჯეოსელით“ მოსარგებლე აბონენტისათვის - 4 ლარი, „წინასწარი გადახდის სისტემა ლაილაით“ მოსარგებლე აბონენტისათვის - 4 ლარი; eSIM-ის აქტივაციის ღირებულება - 10 ლარი; სააბონენტო ნომრიდან განხორციელებულ სატელეფონო ზარზე ნებისმიერი სხვა ადგილობრივი ქსელის მიმართულებით - წუთი 0.24 ლარი; ზარის წამოწყება - 0.12 ლარი; ერთი sms-ის გაგზავნა საქართველოში 0.06 ლარი, 1მმ-ის ფასი 0.70 ლარი. აღნიშნული ტარიფები მოცემულია გადასახადების ჩათვლით; საერთაშორისო ტარიფები მოცემულია „სილქნეტის“ ვებგვერდზე.
- 3.2. „112“-ის მომსახურების საფასურის დარიცხვა განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებით გათვალისწინებული წესით.
- 3.3. „აბონენტი“ ვალდებულია გადაიხადოს „მომსახურების საფასური“ „სილქნეტი“ აბონენტთა მომსახურების ცენტრების სალაროში თანხის შეტანით, ასევე ბარათის მეშვეობით („ბალანსის შევსების ბარათები“), ან/და გადახდის სხვა ალტერნატიული საშუალებით;
- 3.4. „აბონენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს „ნომრის“ ანგარიშის შევსება მინიმუმ ერთი ლარით, ხოლო შემდგომი შევსებისას - ნებისმიერი თანხის ოდენობით, რაც დამოკიდებულია გადახდის საშუალებაზე (აღნიშნული პირობა ვრცელდება მხოლოდ „წინასწარი გადახდის სისტემა ლაილაით“ მოსარგებლე აბონენტებისთვის);
- 3.5. „აბონენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს სტანდარტული პირობებით გააქტიურებული ნომრის ანგარიშზე პირველადი მინიმალური თანხის ხუთი (5) ლარის შეტანა. ყველა სხვა შემთხვევაში, „ნომრის“ ანგარიშის/ბალანსის შევსება შესაძლებელია ნებისმიერი თანხის ოდენობით, რაც დამოკიდებულია გადახდის საშუალებაზე (აღნიშნული პირობა ვრცელდება საავანსო/საკრედიტო სისტემა „ჯეოსელის“ სტანდარტული / VIP ფასიანი ნომრის და ლაილის VIP ფასიანი ნომრის შემთხვევაში).
- 3.6. ზედმეტად გადახდილი თანხა აღირიცხება აბონენტის სააბონენტო ანგარიშზე, თუ აბონენტი არ ითხოვს ამ თანხის უკან დაბრუნებას;
- 3.7. აბონენტი თანახმაა, რომ მის ნაცვლად მესამე პირის მიერ ანგარიშსწორების განსახორციელებლად, აბონენტის ანგარიშზე არსებული დავალიანების ჯამური ოდენობის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია; აბონენტის ნაცვლად, მესამე პირის მიერ კომპანიასთან ანგარიშსწორება ხორციელდება

აბონენტის ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე; აღნიშნული პირობა არ ართმევს აბონენტს უფლებას, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი ჯამური დავალიანების შესახებ ინფორმაციის მესამე პირებზე გაცემის უფლების შეზღუდვა;

3.8. აბონენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებლობის შემთხვევაში, სილქნატი უფლებამოსილია დათმოს მოთხოვნა, მესამე პირის (მაგალითად, საბანკო დაწესებულების) სასარგებლოდ და გადასცეს მას აბონენტის დავალიანების შესახებ მონაცემები;

3.9. შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებული მომსახურების აბონენტს მომსახურების ანგარიში წარედგინება მისი მოთხოვნის შემთხვევაში (მათ შორის, სერვის ცენტრებიდან გაცემისა და საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნის გზით); მომსახურების ანგარიშის მოთხოვნისა და წარდგენის გზები და მასში შემავალი მონაცემები დეტალურად მოცემულია კომპანიის ვებგვერდზე.

3.10. აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია უფასოდ მიაწოდოს აბონენტს საანგარიშო პერიოდში (წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის საანგარიშო პერიოდი მოიცავს მომსახურების მიღების მიმდინარე თვეს) გაწეული მომსახურებ(ებ)ის დეტალური ანგარიში (მათ შორის, სერვის ცენტრებიდან გაცემისა და საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნის გზით), ხოლო არასაანგარიშო პერიოდის დეტალური ანგარიში აბონენტს მოთხოვნის შემთხვევაში მიეწოდება კომპანიის მიერ დაწესებული საფასურის გადახდით.

3.11. დეტალური ანგარიშის მოთხოვნისა და წარდგენის გზები და მასში შემავალი ინფორმაცია, ასევე გაცემის ტარიფები დეტალურად მოცემულია კომპანიის ვებგვერდზე.

3.12. აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია გონივრული ტარიფით მიაწოდოს აბონენტს დამატებითი მონაცემები მომსახურების ანგარიშთან დაკავშირებით, თუკი ასეთ მონაცემებს ამუშავებს მომსახურების მიწოდების მიზნით. ასეთი ტარიფები მოცემული იქნება კომპანიის ვებგვერდზე.

3.13. კომპანია უფლებამოსილია სხვა ოპერატორთან ან/და მესამე პირთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, სხვა ოპერატორისგან ან/და მესამე პირისგან აბონენტის მიერ მიღებული ელექტრონული საკომუნიკაციო ან/და სხვა მომსახურების საფასურის გადახდა მოთხოვნის აბონენტს და გადაუხდელია შემთხვევაში ამავე ხელშეკრულების ან/და რეგლამენტის შესაბამისად განახორციელოს სატელეფონო ქსელით მომსახურების ან/და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული მომსახურების შეზღუდვა ან/და შეწყვეტა წინამდებარე ხელშეკრულებითა და რეგლამენტით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

3.14. **როუმინგული მომსახურებისას**, „აბონენტისთვის“ მოულოდნელი და გადაჭარბებული დავალიანების დარიცხვის თავიდან აცილების მიზნით:

3.14.1. მომსახურების საფასურის რეალურ დროში დარიცხვის პირობით შემდგომი გადახდის მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, „აბონენტი“ უფლებამოსილია კომპანიის ვებგვერდზე მოცემული პროცედურით განსაზღვროს მაქსიმალური ფინანსური ლიმიტის ოდენობა, მახდინოს მისი აქტივაცია/დეაქტივაცია.

3.14.2. „სილქნატი“ უზრუნველყოფს, რომ წინასწარი გადახდის პირობით მიღებული მომსახურებისთვის დარიცხული დავალიანების ჯამურმა ოდენობამ არ გადააჭარბოს 10 ლარს. მომსახურების საფასურის რეალურ დროში დარიცხვის პირობის არარსებობის შემთხვევაში, დავალიანების დარიცხვის თაობაზე მონაცემების მიღებისთანავე, „სილქნატი“ (როგორც საკუთარი ოპერატორი) ვალდებულია ამის თაობაზე შეატყობინოს აბონენტს;

3.14.3. „სილქნატი“ (როგორც საკუთარი ოპერატორი) უზრუნველყოფს „აბონენტის“ მობილურ მოწყობილობაზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას (მაგ.: მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან USSD ან სხვა საშუალებით), მომსახურების საფასურის რეალურ დროში დარიცხვის პირობით როუმინგით სარგებლობისას, როდესაც:

3.14.3.1. მოსალოდნელია ხელშეკრულების 3.14.1. ქვეპუნქტის შესაბამისად აბონენტის მიერ განსაზღვრული ფინანსური ლიმიტის ამოწურვა (შეტყობინება იგზავნება ლიმიტის ამოწურვამდე);

3.14.3.2. აბონენტის ზალანსი იწურება, ან მიღებული მომსახურების მოცულობა 80-95% მიაღწევს, ან დაჯამებადი მომსახურებების შემთხვევაში ბოლოს შეძენილი მომსახურების მოცულობა 80-95% მიაღწევს;

3.14.3.3. ხელშეკრულების 3.14.1. პუნქტით გათვალისწინებული ფინანსური ლიმიტი/ზალანსი/მომსახურების მოცულობა სრულად ამოწურება;

3.14.4. თუ მასპინძელი ოპერატორის მიხედვით, შეუძლებელია ხარჯების მონიტორინგი, „სილქნატი“ (როგორც საკუთარი ოპერატორი) „აბონენტს“ ატყობინებს, რომ ინფორმაცია მომსახურების მიღების მიზნით გაწეული ხარჯების შესახებ, ასევე ის პირობა, რომ მომსახურების მიღების მიზნით გაწეული ხარჯების ოდენობა არ აღემატებოდას მითითებულ ფინანსურ ლიმიტს, არ არის ხელმისაწვდომი.

3.15. როუმინგის ქსელში ჩართვა ხორციელდება აბონენტის მოთხოვნით.

3.16. „სილქნატი“ (როგორც საკუთარი ოპერატორი) „აბონენტის“ როუმინგში ყოფნის დროს იყენებს გაწეულ მომსახურებაზე საფასურის დარიცხვის შემდეგ წესს (თუ მასპინძელი ოპერატორი ამის საშუალებას იძლევა):

3.16.1. ხმოვანი მომსახურება – წამობრივი დამრგვალების საფუძველზე;

3.16.2. მოკლე ტექსტური შეტყობინებით მომსახურება – ერთეულის მიხედვით;

3.16.3. ინტერნეტმომსახურება – მბ-ებით დამრგვალების საფუძველზე;

3.16.4. მულტიმედიაური შეტყობინება – ერთეულის მიხედვით, ან შეიძლება დაანგარიშდეს, როგორც ინტერნეტმომსახურების 1 მბ.

3.17. ხელშეკრულების 3.16. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით კომპანია, მოქმედი როგორც საკუთარი ოპერატორი, ვალდებულია შესთავაზოს ვეროკავშირის წევრ ქვეყანაში მოქმედ ავტორიზებულ მასპინძელ ოპერატორს ამ მუხლის 3.16. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისთვის საფასურის დარიცხვის წესის ორმხრივად გამოყენება. თუ მასპინძელი ოპერატორი უარს განაცხადებს საკუთარი ოპერატორის ამ პუნქტით განსაზღვრულ შეთავაზებაზე, ასეთ შემთხვევაში კომპანიაზე, როგორც, საკუთარ ოპერატორზე, არ გავრცელდება 3.16. პუნქტის მოქმედება.

3.18. წინამდებარე ხელშეკრულების სატარიფო გეგმით განსაზღვრული „შემდგომი გადახდის სისტემის“ შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასური სატარიფო გეგმით გათვალისწინებული წესის და პირობების შესაბამისად;

3.19. სატარიფო გეგმით გათვალისწინებულია გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში, გადახდის თარიღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, სატელეფონო მომსახურება იზღუდება ცალმხრივად (იზღუდება გამავალი ზარი);

3.20. სატელეფონო მომსახურების ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის (ცალმხრივად შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული სამი თვე) განმავლობაში, აბონენტს ერიცხება სააბონენტო გადასახდელი და დავალიანების გადაუხდელობის ყოველიველი ჯარიმა;

3.21. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისას, მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვიდან, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს სატელეფონო მომსახურება ეზღუდება ორმხრივად (იზღუდება შემავალი ზარიც);

3.22. ორმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის განმავლობაში აბონენტს ენახება სააბონენტო ნომერი;

3.23. ორმხრივად შეზღუდვის პერიოდში აბონენტს არ ერიცხება სააბონენტო გადასახდელი;

3.24. ორმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის განმავლობაში დავალიანების და მომსახურების აღდგენის საფასურის გადახდის შემთხვევაში, აბონენტს ეძლევა საშუალება აღდგინოს სააბონენტო ნომერი და სატელეფონო მომსახურება, (მომსახურების აღდგენის საფასური შესაძლებელია გადახდული იქნეს მომსახურების ჩართვიდან მომდევნო თვის სააბონენტო გადასახდელთან ერთად);

3.25. დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის ამოწურვის შესაბამისი თვის მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვიდან ხელშეკრულება წყდება და კომპანია იტოვებს სააბონენტო ნომრის გასვლის უფლებას.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**4.1. „სილქნეტი“ ვალდებულია:**

- 4.1.1.** ჩართოს „აბონენტი“ „სილქნეტის“ მობილურ საკომუნიკაციო ქსელში და უზრუნველყოს აღნიშნული მობილური საკომუნიკაციო ქსელით „მომსახურება“ ქსელის დაფარვის ზონის მოქმედების ტერიტორიაზე. ინფორმაცია „სილქნეტის“ მობილური ქსელის დაფარვის შესახებ ხელმისაწვდომია და პერიოდულად განახლდება „სილქნეტის“ ვებგვერდზე (ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რადიო-სიგნალის გავრცელებისა და მობილური ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელი თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია დაფარვის ზუსტი ზონის/არეალის განსაზღვრა, შესაბამისად, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მომსახურების წყვეტას და/ან შეფერხებას სილქნეტის მიერ გამოქვეყნებულ მობილური დაფარვის არეალში/ზონაშიც), ხოლო „აბონენტი“, თავის მხრივ, ვალდებულია აირჩიოს მისთვის სასურველი „მომსახურების სატარიფო გემა“ ან/და „აქცია“ (პაკეტი) „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად;
- 4.1.2.** აბონენტი მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებით და რეგლამენტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად; ამასთან, სილქნეტის მიერ **შეთავაზებული ხარისხის პარამეტრებია:** ინტერნეტ-მომსახურების დაყოვნება (Latency) <400 მილიწამი; ხმოვანი კავშირის დამყარების დრო (Call Setup Time) < 30 წამი;
- 4.1.3.** ხელშეკრულების, რეგლამენტის და კომისიის სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესებითა და ვადებში, აღმოფხვრას დაზიანებები;
- 4.1.4.** მოკლე ტექსტური შეტყობინების ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით პერიოდულად აცნობოს „აბონენტს“ „მომსახურებასთან“ დაკავშირებული სიახლეების/აქტივობების შესახებ;
- 4.1.5.** ყოველ კონკრეტულ აქციაში გარკვევით სახის აქციის ვადა და მისი ყველა პირობა.
- 4.1.6.** „რეგლამენტით“ და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შეატყობინოს აბონენტს „მომსახურების“ წესების, პირობების და იმ ტარების ცვლილებების თაობაზე, რომლითაც სარგებლობს „აბონენტი“; ამ შემთხვევაში „სილქნეტი“ უფლებამოსილია თავად განსაზღვროს „რეგლამენტის“ პირობების დაცვით, ამავე „რეგლამენტით“ განსაზღვრული შეტყობინების ფორმებიდან ერთ-ერთი ან/და რამდენიმე, რომელიც გამოყენებული იქნება აბონენტის ეფექტური ინფორმირებისთვის.
- 4.1.7.** კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- 4.1.8.** ინდივიდუალური შეტყობინებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში, გააფრთხილოს აბონენტი მომსახურების მოსალოდნელი (დაგეგმილი) შეზღუდვის ან/და კომპანიის ინიციატივით მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე;
- 4.1.9.** „სილქნეტი“ ვალდებულია აბონენტის მიერ მომსახურების საფასურის დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში, აბონენტის მოთხოვნის საფუძველზე დაუბრუნოს მას, მის მიერ როუმინგული მომსახურების დეპოზიტზე განთავსებული გაუნარჯავი თანხა; დეპოზიტზე დარჩენილი თანხის დაბრუნება ხდება აბონენტის მოთხოვნის საფუძველზე როუმინგული მომსახურების გათიშვის დღიდან 35 დღის განმავლობაში.

4.2. „სილქნეტი“ უფლებამოსილია:

- 4.2.1.** მოსთხოვოს აბონენტს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება;
- 4.2.2.** მოსთხოვოს აბონენტს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით კომპანიისათვის მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურება.
- 4.2.3.** განსაზღვროს „მომსახურების“ კონკრეტული სახეების მოხმარების წესები და პირობები, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

4.3. „აბონენტი“ ვალდებულია:

- 4.3.1.** სრულად და ხელშეკრულებით/დანართებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს მომსახურების საფასური;
- 4.3.2.** „მომსახურებასთან“ დაკავშირებული „უსაფრთხოების კოდები“ (PIN/PUK), პაროლები და სიმზარათ(ებ)ი შეინახოს უსაფრთხო ადგილას, რათა არ მოხდეს „მესამე პირთა“ მიერ „მომსახურებით“ სარგებლობა; გარდა ამისა, „მომხმარებელს“ არა აქვს უფლება მოახდინოს სიმზარათების მეშვეობით რაიმე სახის მანიპულირება;
- 4.3.3.** უმოკლეს გონივრულ ვადაში შეატყობინოს „სილქნეტს“ (შეტყობინება უნდა განხორციელდეს „სილქნეტის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრში ან/და საამისოდ უფლებამოსილ პირთან) დაზიანების, მომსახურების შეფერხების ან/და „სიმზარათის“ დაკარგვის შესახებ. „სილქნეტისთვის“ ამ ინფორმაციის მიწოდებამდე „აბონენტის“ „ნომრიდან“ განხორციელებულ ნებისმიერ ზარზე ან/და „მომსახურებაზე“ პასუხისმგებელია და გადახდას ახორციელებს „აბონენტი“;
- 4.3.4.** არ დაუშვას მიწოდებული მომსახურების ჩართვა ფრთხილად ასოცირებული საერთაშორისო ან სხვა ფასიანი ტრაფიკის არასაქცირებელი გატარების ან/და ფრთხილად მიზნით განხორციელებულ ქმედებებსა და სქემებში, ასევე დაიცვას კომპანიის ქსელთან მიერთებული ნებისმიერი საკუთარი ან დროებით სარგებლობაში გადაცემული ტერმინალური მოწყობილობა ნებისმიერი უნებართვო ჩართვისა და გამოყენებისაგან, ასევე არ დაუშვას კომპანიის მიერ მისთვის გამოყოფილი ნუმერაციის რესურსის შეცვლა; აბონენტი უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად, კომპანიის მიმართ წარმოქმნილ ნებისმიერი სახის დავალიანებას ან/და მიყენებულ ზარალს.
- 4.3.5.** შემოსული ან გასული ტრაფიკის ან/და სხვა ტიპის ზარებისა და მათზე დარიცხული და გადასახდელი საფასურის შესახებ დავის შემთხვევაში, გადაიხადოს სადაო თანხის შესაბამისი საანგარიშო თვის თანხა სრულად, კომპანიის მიერ წარდგენილი ანგარიშის შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო დავის კომისიის/სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე აბონენტის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში, უფლებამოსილია მოითხოვოს გადახდილი სადავო ნაწილის გადაანგარიშება, დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად, რაც უნდა დაკმაყოფილდეს კომპანიის მიერ, დადგენილი წესის შესაბამისად;
- 4.3.6.** „აბონენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „მომსახურებით“ სარგებლობა:
 - 4.3.6.1.** არ აყენებდეს ზიანს „სილქნეტს“ ან ნებისმიერ „მესამე პირს“;
 - 4.3.6.2.** არ იწვევდეს „სილქნეტის“ ქსელის ან „მომსახურების“ მომლას/ხელშეშლას, მათ შორის, ადრესატებისთვის არასასურველი ზარების/გზავნილების მასიური განხორციელებით, ე.წ. „სპამის“, ვირუსების მასიური დისტრიბუციით და სხვა;
 - 4.3.6.3.** არ არღვევდეს „სილქნეტის“ ან რომელიმე „მესამე პირის“ საავტორო, მომიჯნავე ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს;
 - 4.3.6.4.** არ ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობას.
- 4.3.7.** „სილქნეტის“ მოთხოვნის შემთხვევაში, აუნაზღაუროს მას 4.3.4. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი;
- 4.3.8.** დაეთანხმოს (შემდგომი დამატებითი აქცეპტის ან/და თანხმობის გარეშე) სილქნეტის მიერ მისთვის გამოყოფილი ნუმერაციის რესურსის ცვლილებას, თუ ამგვარი ცვლილება გამოწვეულია/განპირობებულია სილქნეტს ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი აქტით. თუ აბონენტი არ ეთანხმება აღნიშნულ ცვლილებებს, სილქნეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ამავე ხელშეკრულების და რეგლამენტის პირობების შესაბამისად.
- 4.3.9.** ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით ნაკისრი ვალდებულებები;
- 4.3.10.** ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ტერმინალური

მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულების განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

4.3.11. კომპანიის მოთხოვნის შემთხვევაში, აუნაზღაუროს მას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ნებისმიერი ზიანი;

4.3.12. იმ შემთხვევაში, თუ „აბონენტი“ ახორციელებს კომერციული ხასიათის მასიურ გზავნილებს/შეტყობინებებს, ეს უკანასკნელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება „სილქნატთან“.

4.4. აბონენტი უფლებამოსილია:

4.4.1. აირჩიოს მისთვის სასურველი მომსახურების სახე და შესაბამისი სატარიფო გეგმა ხელშეკრულებისა და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

4.4.2. მოითხოვოს სილქნატისგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მის მიერ არჩეული მომსახურების მიწოდება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

4.4.3. შეატყობინოს სილქნატს ნებისმიერი დაზიანების, ასევე ინტერნეტ მომსახურების ხარისხის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ პარამეტრებთან შეუსაბამობის თაობაზე და მოითხოვოს მათი აღმოფხვრა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული / კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

4.4.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებისა და პირობების დაცვით “მომსახურების” შეწყვეტის შემდეგ „ხელშეკრულებით“ დადგენილი პირობების შესაბამისად მოსთხოვოს “სილქნატს”, “ნომრის” ანგარიშზე არსებული საავანსო თანხის უკან დაბრუნება, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე; ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება კომპანიის მიერ მოხდება აბონენტის განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) დღეში, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე (აბონენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტის სახით);

5. „მომსახურების“ შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობები

5.1. მომსახურების შეზღუდვა, აღდგენა და შეწყვეტა ხორციელდება ამ ხელშეკრულებისა და რეგლამენტის შესაბამისად;

5.2. მომსახურების (მომსახურებების) მიწოდება შეიძლება შეიზღუდოს კომპანიის ინიციატივით შემდეგ შემთხვევებში:

5.2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული და აბონენტის მიერ მიღებული მომსახურებ(ებ)ის საფასურის, ასევე, საავალდებულო დეპოზიტის, ამ ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატარიფო გეგმით განსაზღვრულ ვადებში გადაუხდელობის (დაავალიანების წარმოშობის) შემთხვევაში;

5.2.2. თუ „სილქნატს“ გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ აბონენტისათვის მიწოდებული მომსახურება გამოყენებულია ხელშეკრულების 4.3.4. პუნქტით განსაზღვრული მიზნებით, რა დროსაც, „სილქნატი“ უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეზღუდოს აბონენტს ერთი ან რამდენიმე ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული ყველა ან/და ნებისმიერი სახის მომსახურება;

5.2.3. თუ აბონენტი “სილქნატს” გაფრთხილების მიუხედავად იმგვარად იყენებს „მომსახურებას“, რომ ირღვევა “ხელშეკრულებით” დათქმული პირობები ან/და ეს ქმედება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

5.2.4. კომპანიის მიერ გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებისას, რეგლამენტით დადგენილი წესით, აბონენტის წინასწარი ინფორმირების პირობით;

5.2.5. საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, რომ აბონენტის მიერ ხორციელდება კომერციული ხასიათის მასიური გზავნილების/შეტყობინებების გაგზავნა; ამ შემთხვევაში „სილქნატი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს აბონენტს 4.3.12. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ხელშეკრულების ფარგლებში, თუ აბონენტის მიერ არ მოხდება 4.3.12. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმება, „სილქნატი“ უფლებამოსილია შეუწყვიტოს აბონენტს სააბონენტო ხელშეკრულება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მიერ მოხდება „სილქნატთან“ 4.3.12. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმება, აბონენტისთვის შეზღუდული მომსახურება აღდგება 4.3.12. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) საათის განმავლობაში; (ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს წარმოეშობა პრეტენზია კომერციული ხასიათის მასიური გზავნილების/შეტყობინებების გაგზავნასთან დაკავშირებით, აბონენტი ვალდებულია თავად დაამტკიცოს, რომ ის არ ახორციელებდა კომერციული ხასიათის მასიური გზავნილების/შეტყობინებების გაგზავნას და წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. დავის არსებობის შემთხვევაში, აბონენტის თანხმობით, „სილქნატი“ უფლებამოსილია შეამოწმოს გზავნილების შინაარსი; შეზღუდვის “ნომერზე” გამავალი ზარი საავანსო თანხის ან/და კრედიტის (ლიმიტის) ან/და წინასწარ გადახდილი თანხის ამოწურვის შემთხვევაში; საავანსო, საკრედიტო და წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტის “ნომერზე” დაუშვას უარყოფითი ბალანსი);

5.2.6. ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

5.3. მომსახურებები აგრეთვე შესაძლოა შეიზღუდოს / შეწყდეს ბალანსის/ვადის ამოწურვისას/შეუცხებლობისას, შემდეგ შემთხვევებში:

5.3.1. „საავანსო/საკრედიტო სისტემა ჯეოსელით“ მოსარგებლე აბონენტის “ნომერზე” შეზღუდვის გამავალი ზარი ოცდაათი (30) დღის ვადით, თუ “ნომერზე” ამოიწურა ბალანსი. აღნიშნული ოცდაათიდან პერიოდის განმავლობაში აბონენტს შეეძლება მხოლოდ შემომავალი ზარების მიღება, აქტიური სასაუბრო, SMS, MMS და ინტერნეტ ბონუსების გამოყენება, ულიმიტო პაკეტებით/მომსახურებებით სარგებლობა, “სილქნატის” გარკვეული უფასო სერვისებით, აგრეთვე საგანგებო ნომრებით სარგებლობა. აღნიშნული ოცდაათიდან პერიოდის გასვლის შემდგომ “ნომერზე”, “მომსახურება” შეიზღუდება ორმხრივად, „მომსახურების“ ორმხრივად შეზღუდვა არ გულისხმობს საგანგებო ნომრებით სარგებლობის შეზღუდვას;

5.3.2. თუ „საავანსო/საკრედიტო სისტემა ჯეოსელით“ მოსარგებლე აბონენტი ხუთი (5) თვის განმავლობაში უწყვეტად არ სარგებლობს “სილქნატის” ფასიანი სერვისებით ან შემომავალი ზარით, არ ხარჯავს ბონუსებს, არ ახდენს ბალანსის შევსებას, გალმხრივად შეწყვიტოს “ხელშეკრულება” მეექვსე თვის განმავლობაში და თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს “ნომერი”;

5.3.3. “წინასწარი გადახდის სისტემა ლაილით” მოსარგებლე აბონენტის მიერ “ნომერზე” თანხის ბოლო ჩატვირთვიდან ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში მისცეს “აბონენტს” შესაძლებლობა განახორციელოს მისი ზარები და ისარგებლოს ყველა გააქტიურებული სერვისით “სააბონენტო ნომერზე” ასეთი სერვისით სარგებლობისათვის საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, ხოლო თანხის ამოწურვისას შეზღუდოს “მომსახურება” (“ნომერი” გათიშოს გალმხრივად). რა დროსაც “წინასწარი გადახდის სისტემა ლაილით” მოსარგებლე აბონენტი შეძლებს მიიღოს მხოლოდ შემომავალი ზარები, ისარგებლოს სასაუბრო, SMS, MMS და ინტერნეტ ბონუსით, ულიმიტო პაკეტებით/მომსახურებებით, ისარგებლოს “სილქნატის” უფასო სერვისებით და/ან საგანგებო ნომრებით;

5.3.4. “წინასწარი გადახდის სისტემა ლაილით” მოსარგებლე აბონენტის მიერ “ნომერზე” თანხის ბოლო ჩატვირთვის ოთხმოცდაათი (90) დღიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში (ანგარიშზე თანხის არსებობის მიუხედავად) შეზღუდოს “მომსახურება” (“ნომერი” გათიშოს გალმხრივად). ამ შემთხვევაში “აბონენტს” შეეძლება მხოლოდ შემომავალი ზარების მიღება, აქტიური სასაუბრო, SMS, MMS და ინტერნეტ ბონუსების გამოყენება, ულიმიტო პაკეტებით/მომსახურებებით სარგებლობა, “სილქნატის” გარკვეული უფასო სერვისებით და/ან საგანგებო ნომრებით სარგებლობა;

5.3.5. თუ “წინასწარი გადახდის სისტემა ლაილით” მოსარგებლე აბონენტი “ნომერზე” თანხის ბოლო ჩატვირთვიდან ასოცი (120) დღის განმავლობაში არ მოახდენს “ნომრის” ანგარიშის შევსებას, ასოციამეორე (121) დღეს შეწყვიტოს “მომსახურება” (“ნომერი” გათიშოს ორმხრივად); (“წინასწარი გადახდის სისტემა ლაილით” მოსარგებლე აბონენტს მომდევნო ოცდაათი (30) დღის განმავლობაში

შესაძლებლობა ექნება „ნომრის“ ანგარიშზე დადგენილი წესის დაცვით ჩატვირთოს ნებისმიერი ოდენობის თანხა და ორმხრივად გაააქტიუროს „ნომერი“;

- 5.3.6.** „წინასწარი გადახდის სისტემა ლაილაით“ მოსარგებლე აბონენტის როუმინგში ყოფნისას „ნომრის“ ანგარიშზე თანხის არარსებობის დროს წინასწარი გადახდის სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე შეზღუდულ შემომავალი ზარების მიღება;
- 5.3.7.** ასორმოცდამეთერთმეტე (151) დღიდან, ავტომატურად გააუქმოს „ხელშეკრულება“, თუ „წინასწარი გადახდის სისტემა ლაილაით“ მოსარგებლე აბონენტი თანხის ბოლო ჩატვირთვიდან ასორმოცდაათი (150) დღის განმავლობაში არ ჩატვირთავს თანხას „ნომრის“ ანგარიშზე. ამასთან, „სილქნეტი“ ვალდებულია „აბონენტის“ წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში 10 (ათი) დღის განმავლობაში, დაუბრუნოს აბონენტს „ნომრზე“ არსებული გაუხარჯავი თანხა. „სილქნეტი“ უფლებამოსილია გაუხარჯავ თანხას გამოაკლოს ის ხარჯები, რაც დაკავშირებული იქნება აბონენტისათვის თანხის დაბრუნებასთან;
- 5.3.8.** ასორმოცდამეთერთმეტე (151) დღიდან, ავტომატურად გააუქმოს „ხელშეკრულება“, თუ „წინასწარი გადახდის სისტემა ლაილაით“ მოსარგებლე აბონენტი სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმებიდან ასორმოცდაათი (150) დღის განმავლობაში არ განახორციელებს „ნომრის“ საწყის აქტივაციას.
- 5.3.9.** „სილქნეტის“ მიერ აბონენტის ნომრის შეზღუდვის შემთხვევაში, კრედიტის (ლიმიტის) თანხის სრულად დაფარვის ან/და საავანსო თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში, „ნომრზე“ არსებული შეზღუდვის გაუქმება ხდება გადახდიდან მაქსიმუმ 3 (სამი) საათის განმავლობაში (ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, „აბონენტი“ ვალდებულია გადაიხადოს საავანსო თანხა იმ ოდენობით, რომ „ნომრის“ ანგარიში გადავიდეს დადებით ბალანსში.
- 5.3.10.** მომსახურების მიწოდების ცალმხრივად შეზღუდვის შემთხვევაში, სილქნეტი ვალდებულია საერთო სარგებლობის სატელეფონო საკომუნიკაციო მომსახურების მიმღებ აბონენტს შესაძლებლობა მისცეს განახორციელოს ზარები საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების ნომრებზე და „სილქნეტის“ ცხელ ხაზზე და მიიღოს შემომავალი ზარები, ასევე, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ხოლო მომსახურების მიწოდების ორმხრივად შეზღუდვის დროს განახორციელოს ზარები საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების ნომრებზე.

5.4. სილქნეტი ვალდებულია შეზღუდული მომსახურების აღდგენა უზრუნველყოს შეზღუდვის მიზეზების აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

5.5. „ხელშეკრულების“ შეწყვეტა შესაძლებელია:

5.5.1. მხარეთა შეთანხმებით;

5.5.2. სილქნეტის ინიციატივით,

- 5.5.2.1.** აბონენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო, აბონენტისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური შეტყობინების გაგზავნის პირობით, მომსახურებ(ებ)ის შეზღუდვის საფუძველზე ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში;
- 5.5.2.2.** კომპანიის მიერ ხელშეკრულებაში ცვლილება/დამატებების ცალმხრივად შეტანის თაობაზე აბონენტისთვის გაგზავნილი ინდივიდუალური შეტყობინების მიღებიდან სამისოდ დადგენილ და შეტყობინებაში მითითებულ ვადაში აბონენტის მხრიდან ცვლილება/დამატებების შეტანაზე უარის თქმის (დაუთანხმებლობის) შემთხვევაში.

5.5.3. აბონენტის ინიციატივით, კომპანიის მომსახურების ცენტრებისადმი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მომართვის გზით, შეწყვეტის დღისთვის კომპანიის წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული (მიღებული/გაწეული) მომსახურებ(ებ)ის შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი გადასახდელი თანხის/დავალისთვის სრულად დაფარვისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების (მათ შორის, აბონენტის დროებით სარგებლობაში გადაცემული ტერმინალური მოწყობილობების (ასეთის არსებობისას) დაბრუნების) შესრულების პირობით; აბონენტს არ დაეკისრება დამატებითი გადასახდელების (მაგალითად, სააბონენტო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო ჯარიმა) გადახდა, თუ ხელშეკრულებას ცალმხრივად წვეტს კომპანიის მიერ ხელშეკრულების პირობების იმგვარი ცვლილების გამო, რამაც გამოიწვია მომსახურების პირობების გაუარესება.

5.5.4. აბონენტის დროებით სარგებლობაში გადაცემული ნომრის ამ ხელშეკრულებითა და რეგლამენტით განსაზღვრული წესით სხვა ოპერატორის ქსელში **პორტირებით;**

5.5.5. მხარის გარდაცვალების ან/და ლიკვიდაციის გამო; მსგავს შემთხვევაში, „ხელშეკრულება“ შეწყვეტილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც „სილქნეტისთვის“ დადგენილი წესის დაცვით ცნობილი გახდა და მასთან წარდგენილია შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მხარის გარდაცვალების ან/და ლიკვიდაციის შესახებ. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, ინფორმაცია წარდგენილად ითვლება თუ მხარის გარდაცვალებაზე ან/და ლიკვიდაციაზე წარდგენილია დოკუმენტი, რომელიც გაცემული და დადასტურებულია უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. აბონენტის გარდაცვალების/ ლიკვიდაციის დამადასტურებელი ცნობის „სილქნეტის“ მიერ მოპოვების / „სილქნეტისთვის“ წარმოდგენის დღიდან, „სილქნეტი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს სააბონენტო ხელშეკრულება ან გადააფორმოს „ნომრები“ უპირატესი უფლება-ვალდებულებების მქონე მესამე პირზე (რამდენიმე ასეთი პირის არსებობისას – ერთ-ერთის მომართვისთანავე);

5.6. „მომსახურების“ ან/და „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემთხვევაში „აბონენტი“ ვალდებულია სრულად დაფაროს დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული და შეწყვეტის მომენტისთვის შეუსრულებელი სხვა ვალდებულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5.7. „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემთხვევაში, „სილქნეტი“ უფლებამოსილია გამოიყენოს აბონენტის როუმინგის დეპოზიტზე არსებული თანხა დავალიანების დასაფარად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5.8. სხვა ოპერატორთან და/ან სხვა პირთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, სხვა ოპერატორისგან და/ან სხვა პირისგან „აბონენტის“ მიერ მიღებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების და/ან სხვა მომსახურების საფასურის გადახდა მოსთხოვოს „აბონენტს“ და გადაუხდელობის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ ან/და „რეგლამენტის“ შესაბამისად განახორციელოს „მომსახურების“ შეზღუდვა ან/და შეწყვეტა;

5.9. სილქნეტი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შეზღუდვისა და შეწყვეტის ვადები, თუ აბონენტის ქმედებები საფრთხეს უქმნის „სილქნეტის“ საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ფუნქციონირებას, მთლიანობას ან უსაფრთხოებას ან სხვა აბონენტებს უზღუდავს „სილქნეტის“ მიერ გაწეული მომსახურებების გამოყენების შესაძლებლობას ან ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ან მომსახურების გამოყენებით სხვაგვარად აყენებს ზიანს ან ასეთ საფრთხეს უქმნის „სილქნეტს“ ან მომხმარებლებს; შეზღუდვის ვადების დაცვის ვალდებულება ასევე არ მოქმედებს, თუ აბონენტი არ ასრულებს განვადების შესახებ ხელშეკრულების პირობებს, რაც უნდა აისახოს განვადების ხელშეკრულებაში;

6. კონფიდენციალურობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა

6.1. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამოიწვევის შემთხვევებისა;

6.2. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება ინფორმაციაზე:

- 6.2.1.** რომელიც საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გარეშე, ცნობილი იყო ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

- 6.2.2.** რომლის გამყვანებაც მოხდება მხარეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით უფლებების განსახორციელებლად);
- 6.2.3.** რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა, მათ შორის, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან;
- 6.2.4.** რომელიც არის ან გახდება მესამე პირისათვის ხელმისაწვდომი მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, მათ შორის, ამ ხელშეკრულების საფუძველზე;
- 6.2.5.** რომლის გადადგმის ვალდებულებაც კომპანიას აქვს უფლებამოსილი ორგანოს (კომისია, სასამართლო, საგამომიებო ორგანოები და ა.შ.) მომართვის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საფუძვლის არსებობისას.
- 6.3.** აბონენტი კომპანიას ანიჭებს უპირობო უფლებას, აბონენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის / აქცეპტის გარეშე აბონენტის შესახებ ინფორმაცია გადასცეს მის მემკვიდრეებს, ან სხვა უფლებამოსილ პირებს, აბონენტისათვის სხვადასხვა ტიპის მომსახურების შეთავაზების მიზნით, იმ პირობით, რომ:
- 6.3.1.** ამგვარი ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ იმ ინფორმაციით, რაც აუცილებელია ამგვარი მომსახურების შესათავაზებლად ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად;
- 6.3.2.** ინფორმაციის მიმღები პირები დაიცავენ ზემოაღნიშნულ დებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით.
- 6.4.** მხარეები თანხმდებიან, რომ აბონენტის პერსონალური კოდი/ პინ კოდი წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის გადაცემაზე/დაცემაზე პასუხისმგებელია აბონენტი; შესაბამისად, აბონენტის პერსონალური კოდის გამოყენება ან პროგრამულად შეყვანა, ნიშნავს რომ ნებისმიერი ქმედება ითვლება აბონენტის მიერ განხორციელებულად და ამგვარი ქმედების ნებისმიერ შედეგებზე, სრულად და ერთპიროვნულად პასუხისმგებელია აბონენტი.
- 6.5.** ყოველგვარი ორპიროვნობისა და ეჭვის გამოსარიცხად, აბონენტი ვალდებულია პინ კოდის/პერსონალური კოდის გამოყენებამდე გაეცნოს მათი მოხმარების წესებს, რომელიც განთავსებულია კომპანიის ვებგვერდზე, შესაბამისად, აბონენტის/მომხმარებლის მიერ, ამა თუ იმ პროდუქტის/მომსახურების შექმნის/შეზღუდვის/შეკრების/გაუქმების ან სხვა მიზნით პინ კოდის/პერსონალური კოდის გამოყენება ან პროგრამულად შეყვანა, ნიშნავს რომ აბონენტი/მომხმარებელი სრულად იცნობს და ეთანხმება პინ კოდის/პერსონალური კოდის გამოყენების მომენტში შესაბამისი პროდუქტის/მომსახურების შექმნის/შეზღუდვის/შეკრების/გაუქმების ან სხვა მიზნით გამოყენების პირობებს.
- 6.6.** მომსახურებით სარგებლობისთვის კომპანია აბონენტს გამოუყოფს სააბონენტო ნომერს, პაროლსა და/ან სხვა კოდებს. კომპანიამ შესაძლებელია შეცვალოს აღნიშნული მონაცემები ტექნიკური, საოპერაციო ან სხვა მიზნებისათვის ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამოცემული რეგულაციებისა თუ გადაწყვეტილებების გამო. ამგვარი ცვლილებების შესახებ აბონენტი ინფორმირებული იქნება დადგენილ ვადებში. აბონენტს არა აქვს ამ მონაცემებზე რაიმე სახის უფლება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- 6.7.** წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „აბონენტი“ კომპანიას ანიჭებს უფლებამოსილებას მისი (აბონენტის) პერსონალური ინფორმაცია გადაამოწოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ბაზაში. აბონენტი ასევე იძლევა თანხმობას, რომ კომპანია უფლებამოსილია აბონენტის კრედიტუნარიანობის შეფასების თუ სხვა მიზნებისთვის საჭირო ინფორმაცია, კომპანიამ გადაამოწმოს სხვა შესაბამის მონაცემთა ბაზაში/რეესტრში.
- 6.8.** აბონენტი თანხმობას აძლევს კომპანიას, განახორციელოს მისი (აბონენტის) შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც გულისხმობს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არა ავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას;
- 6.9.** **ფიზიკური პირი აბონენტი** თანხმობას აძლევს კომპანიას დაამუშავოს და გამოიყენოს მისი (აბონენტის) შესახებ არსებული პერსონალური მონაცემები, „კომპანიის“ სასარგებლოდ, მათ შორის, გასცეს/გაამტყავნოს მესამე პირებზე აბონენტის დამუშავებული პერსონალური მონაცემები, საკუთარი მარკეტინგული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა კომერციული დანიშნულების მქონე ინფორმაციის მიწოდების მიზნით; აბონენტის პერსონალური მონაცემების კომპანიის მარკეტინგული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა კომერციული დანიშნულების მქონე ინფორმაციის მიწოდების მიზნით; აბონენტის პერსონალური მონაცემების მესამე პირების მარკეტინგული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა კომერციული დანიშნულების მქონე ინფორმაციის მიწოდების მიზნით დამუშავებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აბონენტი უფლებამოსილია წერილობით ან ელექტრონულად განაცხადოს ამგვარი უარის შესახებ ამ სააბონენტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და ნებისმიერ დროს სააბონენტო ხელშეკრულების ხელმოწერისა და ძალაში შესვლიდან;
- 6.10.** **ფიზიკური პირი აბონენტი** თანხმობას აძლევს კომპანიას, განახორციელოს მისი (აბონენტის) შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად მესამე პირთა სასარგებლოდ, მათ შორის, გასცეს/გაამტყავნოს მესამე პირებზე აბონენტის დამუშავებული პერსონალური მონაცემები, მესამე პირების მარკეტინგული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა კომერციული დანიშნულების მქონე ინფორმაციის მიწოდების მიზნით; აბონენტის პერსონალური მონაცემების მესამე პირების მარკეტინგული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა კომერციული დანიშნულების მქონე ინფორმაციის მიწოდების მიზნით დამუშავებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აბონენტი უფლებამოსილია წერილობით ან ელექტრონულად განაცხადოს ამგვარი უარის შესახებ ამ სააბონენტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და ნებისმიერ დროს სააბონენტო ხელშეკრულების ხელმოწერისა და ძალაში შესვლიდან;
- 6.11.** **აბონენტი** თანხმობას აძლევს კომპანიას, მისი პირადი/საკონტაქტო მონაცემები მიუთითოს კომპანიის სააბონენტო ცნობარში (მათ შორის, საჯარო ბეჭდურ ან/და ელექტრონულ ცნობარში) და აბონენტის თაობაზე ცნობარში შეტანილი მონაცემები კომპანიის მიერ საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების გაწევის მიზნით, მიეწოდოს მესამე პირებს; აბონენტის პირადი მონაცემების კომპანიის სააბონენტო ცნობარში (მათ შორის, საჯარო ბეჭდურ ან/და ელექტრონულ ცნობარში) მითითებაზე და აბონენტის თაობაზე ცნობარში შეტანილი მონაცემები კომპანიის მიერ საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების გაწევის მიზნით მათი მესამე პირებისთვის მიწოდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აბონენტი უფლებამოსილია წერილობით ან ელექტრონულად განაცხადოს ამგვარი უარის შესახებ ამ სააბონენტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და ნებისმიერ დროს სააბონენტო ხელშეკრულების ხელმოწერისა და ძალაში შესვლიდან;
- 6.12.** აბონენტს უფლება არა აქვს კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება (გარდა აბონენტის მიერ მომსახურების სფასურის გადახდის ვალდებულებისა); კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე აბონენტის მიერ ამ მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. აღნიშნული არ გამოირიცხავს კომპანიის უფლებასა და შესაძლებლობას, მიუხედავად მისი წინასწარი თანხმობის არ არსებობისა, მიიღოს მესამე პირისაგან ვალდებულების შესრულება; ამ შემთხვევაში, აბონენტის თანხმობის მოპოვება შესრულებული ვალდებულების მიღებაზე კომპანიას არ მოეთხოვება.
- 6.13.** იურიდიული პირი აბონენტი თანხმობას აძლევს კომპანიას გამოიყენოს მისი (აბონენტის) საკონტაქტო ინფორმაცია, კომპანიის ან/და მესამე პირების სასარგებლოდ მარკეტინგული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა კომერციული დანიშნულების მქონე ინფორმაციის მიწოდების მიზნით. იურიდიული პირი აბონენტი ასევე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ კომპანია უფლებამოსილია, იურიდიული პირი აბონენტისთვის ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილ სააბონენტო ნომერზე განახორციელოს როგორც კომპანიის, ასევე მესამე პირების მარკეტინგული, სარეკლამო და საინფორმაციო ან სხვა სახის კომერციული დანიშნულების მქონე სმს შეტყობინებების გაგზავნა.

- 6.14. აბონენტს უფლება არა აქვს კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება (გარდა აბონენტის მიერ მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებისა); კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე აბონენტის მიერ ამ მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. აღნიშნული არ გამოიცხადებს კომპანიის უფლებასა და შესაძლებლობას, მიუხედავად მისი წინასწარი თანხმობის არ არსებობისა, მიიღოს მესამე პირისაგან ვალდებულების შესრულება; ამ შემთხვევაში, აბონენტის თანხმობის მოპოვება შესრულებული ვალდებულების მიღებაზე კომპანიას არ მოეთხოვება.
- 6.15. „აბონენტს“ უფლება აქვს ნებისმიერ დროს თქვას უარი მონაცემთა დამუშავებაზე, რისთვისაც წერილობით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, უნდა შეატყობინოს „სილქნეტს“.
- 6.16. „მომსახურებით“ სარგებლობისათვის აბონენტი აწვდის „სილქნეტს“ მის ზუსტ პერსონალურ ინფორმაციას. აბონენტი ვალდებულია ხელშეკრულებაში გადამოწმოს მონაცემთა სისწორე და დაადასტუროს წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ თავისი ხელმოწერით, ასევე შეინახოს „ხელშეკრულების“ მისი კუთვნილი ეგზემპლარი;
- 6.17. „აბონენტი“ ვალდებულია „ხელშეკრულებაში“ აღნიშნულ პერსონალურ/საიდენტიფიკაციო/საკონტაქტო ინფორმაციაში რაიმე ცვლილების შემთხვევაში დადგინდოს წესით დაუყოვნებლივ აცნობოს „სილქნეტს“ ასეთი ცვლილების შესახებ;
- 6.18. „მომსახურებით“ სარგებლობისთვის „სილქნეტი“ „აბონენტს“ გამოუყოფს სააბონენტო ნომერს, პაროლსა და/ან სხვა კოდებს („საიდენტიფიკაციო მონაცემები“). „სილქნეტმა“ შესაძლებელია შეცვალოს „საიდენტიფიკაციო მონაცემები“ ტექნიკური, საოპერაციო ან სხვა მიზეზებისათვის ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამოცემული რეგულაციებისა თუ გადაწყვეტილებების გამო. ამგვარი ცვლილებების შესახებ „აბონენტი“ ინფორმირებული იქნება დადგენილ ვადებში. „აბონენტს“ არა აქვს „საიდენტიფიკაციო მონაცემებზე“ რაიმე სახის უფლება „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემდეგ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- 6.19. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „აბონენტი“ „სილქნეტს“ ანიჭებს უფლებამოსილებას მისი (აბონენტის) ინფორმაცია / პერსონალური ინფორმაცია გადაამოწმოს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ბაზაში. აბონენტი ასევე იძლევა თანხმობას, რომ „სილქნეტი“ უფლებამოსილია აბონენტის კრედიტუნარიანობის შეფასების თუ სხვა მიზეზებისთვის საჭირო ინფორმაცია გადაამოწმოს სხვა შესაბამის მონაცემთა ბაზაში/რეესტრში.
- 6.20. სიმბარათის დაკარგვის შემთხვევაში აბონენტს შეუძლია მიმართოს სილქნეტის ნებისმიერ სერვის ცენტრს ან ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში დარეკოს ნებისმიერი მობილური ნომრიდან და სათანადო იდენტიფიცირების გავლის შემდგომ, მოითხოვოს ნომრის დროებითი დაბლოკვა. ნომრის განბლოკვა შესაძლებელია სერვის ცენტრში მისვლით ან იმავე საკონტაქტო ნომრიდან დარეკვით, როლიდანაც მოხდა ნომრის დაბლოკვა. დაბლოკვის სერვისი უფასოა.
- 7. მხარეთა პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურება და კომპენსაციის მექანიზმები**
- 7.1. მხარეები პასუხისმგებელი არიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულებაზე;
- 7.2. **სილქნეტი არ არის პასუხისმგებელი:**
- 7.2.1. მომსახურების ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია პროგრამული ვირუსით ან თუ მომსახურების ხარისხის გაუარესებას იწვევს აბონენტის კუთვნილი სატელეკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობა, ან აბონენტისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აბონენტის მიზიქვით დაზიანების შემთხვევაში;
- 7.2.2. აბონენტის მიერ ქსელში გატარებულ ინფორმაციაზე ან/და ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსზე;
- 7.2.3. აბონენტის ბრალეულობით მესამე პირისათვის მიყენებულ ზარალზე/ზიანზე;
- 7.2.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში/ზე;
- 7.3. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებების მისაღებად, აბონენტს უფლება აქვს გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი საკუთარი ტერმინალური მოწყობილობები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ტერმინალური მოწყობილობის სილქნეტის ქსელში გამოყენება შეზღუდულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, სილქნეტის მიერ, რაც ასეთის არსებობის შემთხვევაში ქვეყნდება კომპანიის ვებგვერდზე; თუ მომხმარებლის კუთვნილი ტერმინალური მოწყობილობა ზიანს აყენებს კომპანიის ქსელს ან იწვევს მის ქსელში საზიანო ხელშეშლებს, კომპანია უფლებამოსილია, შეუწყვიტოს მას მომსახურების მიწოდება.
- 7.4. კომპანია უფლებამოსილია აბონენტისაგან მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, თუ იგი გამოწვეულია უშუალოდ აბონენტის ან ნებისმიერი იმ პირის ქმედებით, რომელიც ღებულობს ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას/მომსახურებებს;
- 7.5. აბონენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ ასეთი გამოწვეულია სილქნეტის ბრალეულობით; ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც სილქნეტისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამოწვევი მოქმედების უშუალო/პირდაპირ შედეგს. ამასთან, ზიანი დადასტურებულ უნდა იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; კომპანია არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა აბონენტის მიერ „მომსახურებით“ სარგებლობის პროცესში მონაცემ(ებ)ს/ინფორმაციის გადაცემისას. გარდა ამისა, კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ისეთ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია პროგრამული ვირუსის, მონაცემთა დაგვიანებით გადაცემის, განადგურების ან „მომხმარებლის“ მონაცემების დაკარგვის შედეგად. ასევე, „აბონენტის“ ბრალით „მესამე პირისათვის“ ზარალის მიყენების შემთხვევებზე;
- 7.6. კომპანია უფლებამოსილია აბონენტის მიერ ვადამოსული და შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებამდე, უარი განაცხადოს მისი მხრიდან განსახორციელებელი ვალდებულებების შესრულებაზე;
- 7.7. ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმების გარდა, აბონენტის მიერ ნაკისრი და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული საზიანო შედეგების თავიდან აცილების მიზნით, სილქნეტის მიერ შესაძლებელია დადგინდეს ჯარიმები, რომელიც უნდა იყოს ამ მიზნის თანაზომიერი და რომელთა გამოყენების წესისა და ოდენობის თაობაზე ინფორმაცია აბონენტებს მიეწოდებათ, როგორც ინდივიდუალური შეტყობინებით, ისე კომპანიის ვებგვერდზე განთავსების გზით;
- 7.8. აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს კომპანიის მიერ აბონენტის დროებით სარგებლობაში გადაცემული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ტერმინალური მოწყობილობების შესაბამისი საბაზრო ღირებულება, მომსახურებ(ებ)ის მიღების პერიოდში მათი დაზიანების/განადგურების ან დაუბრუნებლობისას;
- 7.9. სილქნეტი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებ(ებ)ის, მისივე ბრალეულობით გაუწველობის ან/და ხარვეზებით მიწოდების შემთხვევაში, აბონენტის განცხადებისა და მის საფუძველზე კომპანიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კომპენსაციის სახით უზრუნველყოს მიუწოდებელი მომსახურების საფასურის გადაანგარიშება. „აბონენტი“ უფლებამოსილია „სილქნეტის“ მხრიდან კომპენსაციის სახით მიიღოს

თანხა, რომელიც „აბონენტს“ დაერიცხება მხოლოდ მისივე „სააბონენტო ნომრის“ ანგარიშზე. დასარიცხი თანხის გამოთვლა ხდება შემდეგი წესით: აბონენტის მიერ კომპენსაციის უფლების წარმოშობამდე წინა სამ (3) კალენდარულ თვეში, შესაბამის მომსახურებაზე/მომსახურებებზე (გარდა როუმინგული მომსახურებისა) დარიცხული და გადახდილი თანხის მიხედვით, საშუალო დღიური დანახარჯი გამრავლებული კომპენსაციას დაქვემდებარებული იმ სრული კალენდარული დღეების რაოდენობაზე, როდესაც აბონენტმა ვერ მიიღო „მომსახურება“.

7.10. „სილქნეტი“ უფლებამოსილია, აბონენტთა ლოიალობის გასაძლიერებლად, აბონენტისთვის მიუწოდებელი მომსახურებისთვის ან აბონენტისთვის მიწოდებული ისეთი მომსახურებისთვის, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პირობებს, ალტერნატიულად და ინდივიდუალურად შესთავაზოს აბონენტს საკომპენსაციო მექანიზმი.

7.11. სააბონენტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს/ჯარიმის მეორე (დამრღვევი) მხარისათვის დაკისრება წარმოადგენს შესაბამისი (არადამრღვევი) მხარის უფლებას და არა ვალდებულებას.

8. საჩივრები/საპრეტენზიო განაცხადები და დავები

- 8.1.** მომხმარებლის დარღვეული უფლების აღდგენის საფუძველს წარმოადგენს საჩივარი, რომლის წარმოდგენის უფლება აქვს:
- 8.1.1.** მომხმარებელს (ბოლო მომხმარებელს/აბონენტს, რომელიც საკუთარი მომხმარებლისათვის იყენებს ან განზრახული აქვს გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყიდვას სხვა მომხმარებელზე);
 - 8.1.2.** მომხმარებლის უფლებამოსილ წარმომადგენელს;
 - 8.1.3.** სხვა დაინტერესებულ მხარეს, საკართველოს კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში; დაინტერესებული მხარეა ნებისმიერი პირი, რომლის ინტერესები პირდაპირ და ლიად არის დაკავშირებული კომპანიის მიერ გაწეულ მომსახურებასთან და რომელსაც შესაძლოა ზიანი მიადგეს „სილქნეტის“ მიერ სააბონენტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევით გაწეული მომსახურებით.
- 8.2.** მომხმარებლის საჩივარი წარედგინება კომპანიის „საჩივრების განყოფილებას“:
- 8.2.1.** წერილობით, მომსახურების მიწოდებლის საფოსტო მისამართზე: წინამდგერიშვილის N95; 0112, თბილისი, ასევე კომპანიის სერვის ცენტრებში;
 - 8.2.2.** მომსახურების მიწოდებლის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: contact@silknnet.com
 - 8.2.3.** კომპანიის ვებგვერდზე: www.silknnet.com
 - 8.2.4.** ზეპირი ფორმით, უფასო მუდმივმოქმედი 24-საათიანი ცხელი ხაზით: (032) 2100100, 110110.
- 8.3.** აბონენტის საჩივრისა და საპრეტენზიო განაცხადების რეგისტრაციის მომენტიდან კომპანიის შესაბამისი სამსახური იწყებს საჩივრის/პრეტენზიის განხილვის წარმოებას, კომპანიის „საჩივრების განყოფილების“ დებულების საფუძველზე;
- 8.4.** აბონენტის საჩივრისა და პრეტენზიის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება უნდა განხორციელდეს საჩივრის/პრეტენზიის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღისა, ხოლო გადაწყვეტილების აბონენტისთვის გაგზავნა - გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში; მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში, კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში ან სასამართლოში; საჩივრის/პრეტენზიის განხილვის პერიოდში კომპანია არ არის ვალდებული უზრუნველყოს აბონენტისთვის მომსახურებ(ებ)ის უწყვეტად მიწოდება;
- 8.5.** საჩივრის განხილვის საფუძველზე მიიღება ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
- 8.5.1.** საჩივრის სრულად დაკმაყოფილების თაობაზე
 - 8.5.2.** საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ
 - 8.5.3.** საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- 8.6.** აბონენტს, საჩივრის / პრეტენზიის განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება შემდეგი ფორმით:
- ა) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება მომხმარებელს ეგზავნება ერთ-ერთი შემდეგი ფორმით (უპირატესობა ენიჭება აბონენტისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების ყველაზე სწრაფ ფორმას):
 - ა.ა) საფოსტო მისამართზე,
 - ა.ბ) ელექტრონულ ფოსტაზე,
 - ა.გ) საკომუნიკაციო პლატფორმების, მათ შორის, Viber ან Messenger ან WhatsApp საშუალებით,
 - ა.დ) ინტერნეტში, ლინკზე ატვირთვით, რომელიც აბონენტს გაეგზავნება საკონტაქტო მობილურ ნომერზე სმს შეტყობინებით,
 - ა.ე) კომპანიის კანცელარიაში ან მომსახურების ცენტრში პირადად ჩაბარებით (მომხმარებლის თანხმობით/მოთხოვნით);
 - ბ) საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე გადაწყვეტილება მომხმარებელს ეგზავნება იმავე ფორმების გამოყენებით, რომელი ფორმებიც გამოიყენება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილების ჩაბარებისთვის;
 - გ) საჩივრის სრულად დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება მომხმარებელს შეიძლება ეცნობოს ზეპირი ფორმით ან სმს შეტყობინებით, მის მიერ მითითებულ საკონტაქტო სატელეფონო ნომერზე;
- 8.7.** თუ აბონენტს არა აქვს არც ერთი ზემოაღნიშნული საკომუნიკაციო ფორმა ან იმ შემთხვევაში, თუ აბონენტმა კომპანიას არ მიაწოდა ან შეცდომით მიაწოდა ელექტრონული ფოსტის მისამართი (ვერ/არ იგზავნება), ხოლო მის მიერ მითითებულ საფოსტო მისამართზე გადაწყვეტილება ვერ ჩაბარდა, აბონენტის დროული ინფორმირების ვალდებულების შესრულების მიზნით, კომპანია უფლებამოსილია გამოიყენოს აბონენტის ინფორმირების ზეპირი ფორმა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის ან საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებების გასაცნობად;
- 8.8.** მხარეები შეეცდებიან დავა დაასრულონ მორიგებით; მხარეებს უფლება აქვთ, დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართონ სასამართლოს; აბონენტი უფლებამოსილია დავის განხილვის მიზნით მიმართოს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს, კომისიას ან სასამართლოს;
- 8.9.** როდესაც „მომსახურება“ გამოიყენება „მესამე პირების“ პროდუქტებისა და სერვისების შესაძენად ან/და ნებისმიერი მიზნით მათთვის რაიმე თანხის ან/და ღირებულების გადახდისათვის, ასეთი სერვისის ან/და პროდუქტების შესყიდვა ან/და თანხის/ღირებულების გადახდა რეგულირდება „მესამე პირსა“ და „აბონენტს“ შორის გალკვ დადებული ხელშეკრულებით. თუ „აბონენტს“ წარმოევა პრეტენზია და სურს ადმრას საჩივარი/სასარჩელო განაცხადება „მომსახურების“ ამ ფორმით/მიზნით გამოყენების გამო, აღნიშნული ვერ გავრცელდება „სილქნეტზე“, ვინაიდან „მომსახურების“ გამოყენება „მესამე პირის“ პროდუქტის ან/და სერვისის შესაძენად ან/და თანხის/ღირებულების გადასახდელად განხორციელდა „აბონენტსა“ და „მესამე პირს“ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და „მესამე პირის“ მიერ დადგენილი პირობებით.

9. დაზიანების აღმოფხვრის პირობები და ვადები

- 9.1. დაზიანება არის კავშირის დარღვევის ყოველი ფაქტი, რომელიც დადასტურებულია მომსახურების მიმწოდებლის მიერ, მომხმარებლის (აბონენტის) გამოკითხვით და რომელიც ზღუდავს შეთავაზებული მომსახურებიდან ერთ-ერთს. კომპანიის მიერ დაზიანების აღმოფხვრა ხორციელდება ამ ხელშეკრულებითა და რეგლამენტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში;
- 9.2. დაზიანების შემთხვევაში, აბონენტი წერილობით განცხადებას წარადგენს სილქნეტის სერვის ცენტრში ან ტოვებს ზეპირ შეტყობინებას სატელეფონო ნომერზე - (032) 2 100 100 ან 110110;
- 9.3. კომპანია აბონენტის განაცხადის/შეტყობინების საფუძველზე იმავდროულად ხსნის დაზიანების ბილეთს, სადაც მოცემულია დაზიანების მოკლე აღწერილობა; დაზიანების ბილეთში აღიწერება დაზიანების აღმოფხვრის ყველა გატარებული ღონისძიება, ზუსტი დროის მითითებით;
- 9.4. დაზიანების ხანგრძლივობა და ითვლება დრო მომხმარებლის მიერ კავშირის დაზიანებაზე განაცხადის შეტანის მომენტიდან, მისი აღმოფხვრის (უქმე დღეებისა და კვირა დღის გამოკლებით) ან აბონენტის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურების მიღების მომენტამდე;
- 9.5. სილქნეტის დაზიანების განყოფილებაში აღირიცხება “აბონენტისაგან” შემოსული ნებისმიერი წერილობითი ან ზეპირი განცხადება. დაზიანებად არ ჩაითვლება “აბონენტის” განცხადება, თუ “მომსახურება” შეზღუდულია 9.6. ქვეპუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი მიზეზით;
- 9.6. **დაზიანებებში არ ჩაითვლება** მობილური საკომუნიკაციო კავშირის შეწყვეტა/შეფერხება შემდეგი მიზეზებით:
- 9.6.1. ქსელში გეგმიური ან გადაუდებელი სარეკონსტრუქციო და პროფლაქტიკური სამუშაოების ჩატარება, ქსელის ელემენტების/კომპონენტების, ასევე საბილინგო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, მოდიფიცირება, რაც ემსახურება, მათ შორის, მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას/გაუმჯობესებას ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ან გამიზნულია ქსელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- 9.6.2. მესამე პირთა ქსელებში ან შეერთების კვანძებში შეფერხებები ან ხელმოუწყვდომლობა, რომელთა ადმინისტრირება ან კონტროლი ხორციელდება მესამე პირთა მიერ; ასევე, ნებისმიერი დაზიანება, ხარვეზი, შეფერხება ან/და სხვა გარემოება, რომელიც გამოწვეულია მესამე პირის პროგრამული უზრუნველყოფის, აპლიკაციის, ტერმინალური მოწყობილობის ან აბონენტზე გადაცემული სიმბარათის დაზიანებით ან თუ აბონენტის მიერ მომსახურების მისაღებად გამოიყენება ტექნიკურ ნორმებთან შესაბამის ტერმინალური მოწყობილობები;
- 9.6.3. მომსახურების წყვეტა ნომრის პორტირების პროცესის უზრუნველსაყოფად;
- 9.6.4. “მომსახურების” შეზღუდვა “მომსახურების” საფასურის გადაუხდელობის გამო;
- 9.6.5. მობილური ქსელის გათიშვა ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის/შეფერხების გამო;
- 9.6.6. კიბერშეტევა / ჰაკერული თავდასხმა;
- 9.6.7. მომსახურების წყვეტა/შეფერხება გამოწვეულია კონკრეტულ ლოკაციაზე მყოფი აბონენტების არასტანდარტული სიმრავლით და/ან მომსახურების მოხმარების არაბუნებრივი/არასტანდარტული ზრდით;
- 9.6.8. მომსახურების წყვეტა და/ან შეფერხება გამოწვეულია მობილური ტექნოლოგიისა და რადიო-სიგნალის გარეგნული ბუნებრივი თავისებურებებით, მათ შორის, ატმოსფერული, ლანდშაფტური და/ან სხვა ბუნებრივი გარემოებებით (მათ შორის, შესაძლოა რადიო-სიგნალი დეიკარვის ან მომსახურების მიწოდება შეფერხდეს შენობებში, გვირაბებში ან/და სხვა მიწისქვეშა ნაგებობებში);
- 9.6.9. მობილური ქსელის გათიშვა ფორს-მაჟორული გარემოებების გამო.
- 9.7. მასშტაბური ავარიის, აგრეთვე სხვა ისეთი გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში, რაც შეუძლებელს ხდის მომსახურების მიწოდებას, კომპანიის სოციალური პლატფორმების ან/და ვებგვერდის საშუალებებით აფრთხილებს აბონენტებს. გაფრთხილებისას კომპანია ვალდებულია აბონენტებს შეატყობინოს შეწყვეტის მიზეზი და ხანგრძლივობა; მას შემდეგ, რაც კომპანიისთვის ცნობილი გახდება დაზიანების სახეობა, იგი ვალდებულია აგრეთვე გამოაქვეყნოს ინფორმაცია მომსახურების შეწყვეტის მიზეზისა და სავარაუდო ხანგრძლივობის თაობაზე;
- 9.8. დაზიანების აღმოფხვრის პირობებსა და ვადებთან დაკავშირებული საჩივრების (პრეტენზიების) განხილვა ხორციელდება ამ ხელშეკრულებისა და რეგლამენტის შესაბამისად; დაზიანების აღმოფხვრის თაობაზე აბონენტის საჩივრის (პრეტენზიის) განხილვისას, დაზიანების ბილეთი ძირითადი წერილობითი მტკიცებულებაა.

10. ფორს-მაჟორი

- 10.1. „ხელშეკრულების“ მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება; „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ „ხელშეკრულების“ დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება „ხელშეკრულების“ მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაეღებინათ; დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა), აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), „ხელისუფლების“ ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს „ხელშეკრულების“ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ეპიდემია, პანდემია და სხვა;
- 10.2. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. „ხელშეკრულების“ მხარე, რომლისათვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია შეატყობინოს „ხელშეკრულების“ მეორე მხარეს საჯაროდ ან ინდივიდუალურად. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარე კარგავს უფლებას დაეცინოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

11. ნომრის პორტირების განსაკუთრებული პირობები

- 11.1. „სილქნეტის“ ქსელში ნომრის პორტირებისას წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შევა მის პირველ გვერდზე მითითებული თარიღიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „სილქნეტი“ დონორი ოპერატორისგან მიიღებს ნომრის პორტირებაზე შესაბამის დასტურს. დონორი ოპერატორისგან პორტირებაზე უარყოფითი პასუხის მიზნის „აბონენტი“ შეიტყობს მოკლე ტექსტური შეტყობინებით, „სილქნეტის“ მიერ დონორი ოპერატორისგან უარყოფითი პასუხის მიღებიდან ათი (10) სამუშაო საათის განმავლობაში;
- 11.2. „აბონენტი“ იხდის დონორ ოპერატორთან არსებულ დავალიანებას „სილქნეტის“ მიერ აბონენტის მოკლე ტექსტური შეტყობინებით ინფორმირებიდან არაუგვიანეს სამი (3) სამუშაო დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პორტირებულ ნომერზე იზღუდება მომსახურება (თუ პორტირებიდან ორი კვირის ვადაში აბონენტი არ დაფარავს დავალიანებას), ხოლო შეზღუდვა გაუქმდება მიმდები ოპერატორის მიერ პორტირებული „აბონენტის“ მიერ დონორ ოპერატორთან დავალიანების თანხის სრულად დაფარვის შემთხვევაში;
- 11.3. „სილქნეტის“ ქსელიდან პორტირების შემთხვევაში მიმდებ ოპერატორს „სილქნეტისგან“ ეცნობება პორტირებული „აბონენტის“ მიერ დავალიანების დაფარვის ვადის შესახებ, რომლის დაფარვაც „აბონენტს“ შეუძლია მხოლოდ „სილქნეტის“ მომსახურების ოფისებში. დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში პორტირებულ ნომერზე მომსახურება შეიზღუდება;
- 11.4. პორტირების სხვა დეტალები განთავსებულია კომპანიის ვებგვერდზე.

12. კომუნიკაცია მხარეებს შორის

- 12.1. კომპანიის აბონენტთან კომუნიკაცია ხორციელდება საჯაროდ ან ინდივიდუალურად;
- 12.2. კომპანიის საჯარო კომუნიკაცია აბონენტთან ხორციელდება კომპანიის ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის (განცხადების) განთავსებით, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, აგრეთვე კომპანიის სერვის ცენტრებში ან/და სხვა მომსახურების წერტილებში შესაბამისი განცხადების /ინფორმაციის განთავსებით;
- 12.3. კომპანიის აბონენტთან ინდივიდუალური კომუნიკაცია ხორციელდება ინდივიდუალური (მათ შორის, წერილობითი) შეტყობინების გაგზავნით:
 - 12.3.1. ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართ(ებ)ზე;
 - 12.3.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართ(ებ)ზე;
 - 12.3.3. ავტომატური ან/და არავტომატური, მათ შორის ხმოვანი, სატელეფონო შეტყობინებით აბონენტის მიერ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ნებისმიერ სატელეფონო ნომერზე (მათ შორის, როგორც ფიქსირებულ, ასევე მობილური ქსელის ნომერზე);
 - 12.3.4. მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით აბონენტის მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებულ სატელეფონო ნომერზე;
 - 12.3.5. ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით, რომელიც მომხმარებლის მხრიდან შეტყობინების მიღების ფაქტის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა;
 - 12.3.6. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა საშუალებით/წყისით.
- 12.4. აბონენტის მიერ მითითებულ მართიდან ან/და ალტერნატიულ მობილურ სატელეფონო ნომერ(ებ)ზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართ(ებ)ზე კომპანიის მიერ გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის ფაქტის ტექნიკური საშუალებით დადასტურების მომენტიდან. შეტყობინების არმიღება არ ათავისუფლებს აბონენტს ამ ხელშეკრულების შესაბამისად მისთვის განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისაგან;
- 12.5. აბონენტი ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო და საკონტაქტო ინფორმაცია სწორი და ნამდვილია; აბონენტი ვალდებულია იღებს დაუყოვნებლივ აცნობის კომპანიის საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შესახებ კომპანიის სატელეფონო ცხელ ხაზზე: (032) 2 100 100 ან 110110 დარეკვით ან სერვის ცენტრში წერილობითი განაცხადის შეტანის გზით; წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას აბონენტისთვის კომპანიისთვის ცნობილ ზოლო მისამართზე/ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ საკონტაქტო სატელეფონო ნომერზე გაგზავნილი შეტყობინების არ/ვერ გაცნობის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანსა თუ ზარალზე;
- 12.6. სილქნეტი ვალდებულია შემდგომი გადახდის აბონენტს მომსახურება შეუზღუდოს, მოსალოდნელი შეზღუდვის თაობაზე შეტყობინების არაუგვიანეს 3 (სამი) დღით ადრე გაგზავნის პირობით; აღნიშნული ვადის დაცვის პირობა არ მოქმედებს, იმ შემთხვევაში თუ შეტყობინების გაგზავნის ვადის დადგომამდე საკრედიტო ლიმიტი ამოწურულია. საკრედიტო ლიმიტის მოსალოდნელი ამოწურვის თაობაზე, ასევე საკრედიტო ლიმიტის ამოწურვის შესახებ აბონენტს ეცნობება შეტყობინებით ლიმიტთან მიახლოებისა და მისი ამოწურვისთანავე;
- 12.7. სილქნეტი ვალდებულია უზრუნველყოს აბონენტის ინდივიდუალური შეტყობინებით გაფრთხილება მის მიერ შეძენილი მომსახურების ლიმიტის ან დაჯამებული მომსახურების შემთხვევაში ზოლოს შეძენილი მომსახურების მოცულობის 90% ამოწურვის, ბალანსის მოსალოდნელი ამოწურვის და მომსახურების განსხვავებული ტარიფით მიწოდების გაგრძელების შესახებ, ასევე, მომსახურების ლიმიტის ან ბალანსის ან ვადის ამოწურვის შესახებ;
- 12.8. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა ჩაბარებულად მისი სათანადო წესით გაგზავნის დღიდან;
- 12.9. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გაგზავნის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან გაგზავნის შემთხვევაში – შეტყობინების შესაბამისი მხარის კანცელარიაში დარეგისტრირების დღიდან;
- 12.10. ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით (გარდა ვებგვერდზე გამოქვეყნებისა) გაგზავნის შემთხვევაში – შესაბამისი „მხარის“ მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან. ამასთანავე, შეტყობინება გადაცემულად ითვლება თუ „სილქნეტის“ მიერ განხორციელებულია მოკლე ტექსტური შეტყობინება ან/და ზარი შედგა „აბონენტის“ სარეგისტრაციო მყოფ სატელეფონო ნომერზე (მოკლე ტექსტური შეტყობინება ან/და სატელეფონო ზარი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ნომრით, რომელსაც „სილქნეტი“ იყენებს მსგავსი მიზნებისათვის და ეს დაფიქსირებულია საანგარიშო პერიოდში „სილქნეტის“ მიერ გაწეული „მომსახურების“ დეტალურ ანგარიშში შემომავალი ზარისა და შეტყობინების გადაცემის ხანგრძლივობის (წუთობრივად) მითითებით. შეტყობინება გადაცემულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ „აბონენტი“ შეგნებულად და არაკეთილსინდისიერად უარს აცხადებს შეტყობინების მიღებაზე (წყვეტს სატელეფონო ნომრიდან განხორციელებულ ზარს შეტყობინების გადაცემის დაწყებისთანავე, არ ჩართავს ქსელში „ნომერს“ 24 საათის განმავლობაში ან არ წიკითხავს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას);
- 12.11. ვებგვერდზე გამოქვეყნების ან/და „სილქნეტის“ მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში – გამოქვეყნების ან/და „აბონენტის“ მიერ შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან;
- 12.12. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნის „მხარეს“ შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას;
- 12.13. აბონენტის მიერ კომპანიასთან კომუნიკაცია ხორციელდება სატელეფონო ცხელ ხაზზე: (032) 2 100 100 ან 110110 დარეკვით ან კომპანიის სერვის ცენტრში წერილობითი განცხადების წარდგენით.

13. ცვლილებები და დამატებები

- 13.1. „ხელშეკრულებაში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით „მხარეთა“ შეთანხმებით;
- 13.2. მიუხედავად „ხელშეკრულების“ 13.1. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა, „სილქნეტი“ უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, აბონენტის დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად, ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე არაუგვიანეს **10 (ათი) სამუშაო დღით** ადრე, ხელშეკრულების განსაზღვრული აბონენტთან კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმის გამოყენებით აბონენტის ინფორმირების პირობით, შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ამ ხელშეკრულებაში, მათ შორის, შეცვალოს მომსახურების საფასური, გარდა ამ პუნქტით განსაზღვრული გამოწვევებისა.
- 13.3. სილქნეტი ვალდებულია აბონენტს მხოლოდ **ინდივიდუალური** შეტყობინებით, **სულ ცოტა 1 (ერთი) თვით ადრე**, მიაწოდოს ინფორმაცია:
 - 13.3.1. მომსახურების პირობების იმგვარი ცვლილების შესახებ, რაც ზრდის აბონენტზე დაკისრებულ ვალდებულებების მოცულობას ან/და იმგვარად ცვლის მომსახურების პირობებს, რომ აღნიშნულს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე მომსახურების მიღების გაგრძელების თაობაზე და იმავდროულად, მისი უფლების შესახებ, შეწყვიტოს მომსახურების ხელშეკრულება ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;
 - 13.3.2. რეალურდროშით დადგენილი წესით, კომპანიის ინიციატივითა და გადაწყვეტილებით, მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე;
- 13.4. შეტყობინების მიღების შემთხვევაში, აბონენტი უფლებამოსილია, შესაბამის ვადაში - ინდივიდუალური შეტყობინებით გათვალისწინებული ცვლილების ძალაში შესვლის თარიღამდე, წერილობით, ცვლილების შესახებ შეტყობინების მიღების ანალოგიური გზით ან მხარეთა შორის შეთანხმებული სხვა ფორმით, განაცხადოს უარი ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; ამ შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება;

აღნიშნული პუნქტი არ ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობათა ცვლილების შესახებ ინდივიდუალური გზით შეტყობინებაზე უარის დაფიქსირებისას, რა დროსაც, აბონენტის უარის მიუხედავად, კომპანიის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა არ მოხდება;

13.5. ინდივიდუალური შეტყობინების მიღების შემთხვევაში, თუ აბონენტი შესაბამის ვადაში - ინდივიდუალური შეტყობინებით გათვალისწინებული ცვლილების ძალაში შესვლის თარიღამდე, არ განაცხადებს წერილობით (ან ცვლილების შესახებ შეტყობინების მიღების ანალოგიური გზით, ან მხარეთა შორის შეთანხმებული სხვა ფორმით) უარს ხელშეკრულებაში ცვლილებების კომპანიის ინიციატივით შეტანის თაობაზე, ჩაითვლება, რომ აბონენტი ეთანხმება და იღებს კომპანიის მიერ შეთავაზებულ ამგვარ ცვლილებებს, რის შემდეგაც მომსახურების მიწოდება გაგრძელდება შეცვლილი სახელშეკრულებით პირობებით;

13.6. კომპანია უფლებამოსილია აბონენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების პაკეტში, აბონენტის თანხმობით, დაამატოს ფასიანი მომსახურების ის ახალი სახე (სახეები), რომელსაც კომპანია ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მომხმარებელს არ შეთავაზებდა, ხოლო აბონენტის მოთხოვნის გარეშე, აბონენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების პაკეტში დაამატოს ასეთი მომსახურების სახე (სახეები) უფასოდ, მაგრამ აბონენტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების პირობით. ხელშეკრულებაში ზემოაღნიშნული გზით შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.7. მხარეები თანხმდებიან, რომ „სილქნატი“ უფლებამოსილია „აბონენტისთვის“ სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების დამატების თაობაზე გარიგება დადოს დისტანციურად, აბონენტის ნების გამოვლენის სააბონენტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეთოდით (კლდური სიტყვა, ერთჯერადი კოდი ან სხვ.) დადასტურების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან;

14.2. ხელშეკრულება მოქმედებს **უვალოდ**, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მის შეწყვეტამდე.

15. დამატებითი მომსახურებები

15.1. აბონენტს შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს დამატებითი მომსახურებებით;

15.2. დამატებითი მომსახურებების ტარიფები და დეტალური აღწერა მოცემულია კომპანიის ვებგვერდზე.

16. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

16.1. „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი გაეცნო და ეთანხმება „მომსახურების“ სტანდარტულ და მის მიერ არჩეული კონკრეტულ „პაკეტის“ პირობებს;

16.2. „აბონენტი“ ადასტურებს, რომ მისი სურვილის შემთხვევაში „სილქნატი“ მას გაუწევს „მომსახურებას“ (დამატებითი სერვისების მიღების უფლება) იმ პირობებით, როგორც ეს მოცემულია ელექტრონული ფორმით „სილქნატის“ ვებგვერდზე ან/და წერილობით - „ხელშეკრულებაში“;

16.3. „აბონენტი“ აცხადებს თანხმობას, რომ „სილქნატმა“ მას ელექტრონული ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია ახალი მომსახურებების, სერვისების, პროექტების და სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ;

16.4. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ურთიერთობისას გამოყენებულ ელექტრონულ დოკუმენტებზე მხარის ელექტრონულ ხელმოწერას აქვს მატერიალურ დოკუმენტებზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

16.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებ(ებ)ის მიწოდება და მიწოდებული მომსახურებ(ებ)ის მოცულობის აღრიცხვა ხორციელდება შესაბამისი ტექნოლოგიისათვის განკუთვნილი საერთაშორისო/ევროპული სტანდარტებით განსაზღვრული ნორმების საფუძველზე; აღნიშნული სტანდარტის ნებისმიერი მოდიფიკაცია, ასევე, სტანდარტის თავისებურებით განპირობებული, მოცულობის აღრიცხვაში წარმოქმნილი/დაგეგმილი ნებისმიერი ხარვეზი, არ წარმოადგენს „სილქნატის“ პასუხისმგებლობის საგანს.

16.6. M2M /IoT მომსახურებისთვის აბონენტებზე გაიცემა ნუმერაციის რესურსი მხოლოდ 7XX XXX XXX კომბინაციიდან და დაუშვებელია ამ სახის მომსახურებაზე საკარტელის მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის N355 დადგინებული დამტკიცებული „საკარტელის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულებით“ ფიჭური სისტემის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის ქსელებით მომსახურების ორგანიზებისთვის და მოძრავი აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისთვის (შემდგომში „მობილური მომსახურება“) განკუთვნილი - 5XX XXX XXX კომბინაციიდან გამოყოფილი და აბონენტისთვის გადაცემული ნუმერაციის რესურსის გამოყენება. აღნიშნულის გათვალისწინებით, „სილქნატის“ მიერ აბონენტისთვის 5XX XXX XXX კომბინაციიდან გამოყოფილი ნუმერაციის რესურსი გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ „მობილური მომსახურებისთვის“, ხოლო 7XX XXX XXX კომბინაციიდან გამოყოფილი ნუმერაციის რესურსი გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ M2M/IoT მომსახურებისთვის. აბონენტი ვალდებულია არ დაუშვას ნუმერაციის რესურსების არასწორად, არადაწინშეუღებლად გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ ამ „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში სილქნატისთვის ცნობილი გახდება, რომ აბონენტისთვის გადაცემული ნუმერაციის რესურსის გამოყენებისას დარღვეულია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ნუმერაციის რესურსის მიზნობრიობა, აღნიშნული ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად და სილქნატი უფლებამოსილია შეუცვალოს აბონენტს ნუმერაციის რესურსი და ამავე დროს სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს მომსახურების მიწოდება.

16.7. „აბონენტი“ უფლებამოსილია „მესამე პირს“ გადასცეს ან გადააბაროს მასზე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება მხოლოდ „სილქნატის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. „სილქნატის“ უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა „კანონმდებლობით“ გასაზღვრულ განსაზღვრული შემთხვევებისა;

16.8. ხელშეკრულების 16.7. პუნქტი არ გულისხმობს დათქმას, რომ „აბონენტმა“ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს „სილქნატის“ უფლებას მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანხმება თუ არა „აბონენტი“. ამასთანავე „სილქნატი“ უფლებამოსილია „აბონენტისათვის“ მიწოდებული შეტყობინების საფუძველზე „მესამე პირს“ გადასცეს მისი „ხელშეკრულებით“ ნაკისრი უფლებები ან/და ვალდებულებები.

16.9. „ხელშეკრულების“ საფუძველზე „აბონენტს“ არ გადაეცემა საავტორო ან სხვა სახის ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.

17. სხვა დამატებითი პირობები

17.1. მხარეები ადასტურებენ, რომ სააბონენტო ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე;

17.2. ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად სააბონენტო ხელშეკრულების ან/და მისი სხვა პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი პუნქტი/ქვეპუნქტი ნაცვლად, გამოიყენება ისეთი პუნქტი/ქვეპუნქტი, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით (მათ შორის, ბათილი პუნქტით/ქვეპუნქტით) გათვალისწინებული მიზანი;

17.3. ამ ხელშეკრულებაში მხოლოდ რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით;

17.4. ამ ხელშეკრულების პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანიშნულია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება; პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომრებაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

17.5. ამ ხელშეკრულების ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, მხარეთა მიერ, აღნიშნული შეცდომა

- ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იქნას ხელშეკრულების შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე;
- 17.6. წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების ძირითადი წესები და პირობები, მომსახურების სახეები, ტარიფები, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის/დროებით შეჩერების და სხვა წესები, ასევე აქციათა პირობები და სააბონენტო პაკეტები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.silknet.com ან/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: (032) 2 100 100 ან 110110.
- 17.7. სააბონენტო ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ბეჭდური (მატერიალური) ან/და ელექტრონული ფორმით;
- 17.8. სააბონენტო ხელშეკრულება სრულად ბეჭდური (მატერიალური) ფორმით იდება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება კომპანიას, ხოლო მეორე გადაეცემა აბონენტს; სააბონენტო ხელშეკრულების ბეჭდურ (მატერიალურ) ფორმაში სააბონენტო ხელშეკრულების არსებითი პირობები ხელმისაწვდომია 10 ზომის შრიფტით;
- 17.9. სააბონენტო ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია გაფორმდეს ელექტრონულად, პაღზე ხელმოწერის გზით, რომლის ელექტრონული ასლი აბონენტს, მისი სურვილის შემთხვევაში, გადაეგზავნება საკონტაქტო ელ. ფოსტის მისამართზე.
- 17.10. რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში, იდენტიფიცირებული აბონენტის მიერ სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების დამატების თაობაზე გარიგების დადება შესაძლებელია ასევე დისტანციურად, აბონენტის ნების გამოვლენის სააბონენტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეთოდ(ებ)ით („პერსონალური კოდი“/ „ერთჯერადი კოდი“/ „USSD კოდი“ ან სხვ.) დადასტურების საფუძველზე.

სს „სილქნეტი“

სსიპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქალაქ
თბილისის N46

მისამართი: მ.წინამძღვრიშვილის N95
ს/კ:204566978
ბანკი: სს „თიბისი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:

მისამართი: ვ.ვეკუას ქN1
ს/კ: 202339344
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:

GE97TB7404936070100004

GE76TB0700000340800004

კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
თამთა შარაშენიძე

დირექტორი მ/შ
ნინო კობახიძე

დანართი N1

ხელშეკრულების არასტანდარტული პირობები

1. შესყიდვის კლასიფიკატორი (CPV) კოდით - 64200000
2. „მომსახურების“ ღირებულება: ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 130 (ასოცდაათი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით;
3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ორმხრივად კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და/ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
4. მხარეთა მიერ განხორციელებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და/ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის თარიღებს შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ყველაზე გვიანდელი ელექტრონული ხელმოწერისა და/ან ელექტრონული შტამპის დასმის თარიღს.
5. მომსახურების გაწევის ვადა: 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე

მხარეთა ხელმოწერები
კომპანია

სს „სილქნეტი“

მისამართი: მ.წინამძღვრიშვილის N95

ს/კ: 204566978

ბანკი: სს „თიბისი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორების ანგარიში:

GE97TB7404936070100004

კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
თამთა შარაშენიძე**აბონენტი**სსიპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქალაქ
თბილისის N46

მისამართი: ვ.ვეკუას ქN1

ს/კ: 202339344

ბანკი: სს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორების ანგარიში:

GE76TB0700000340800004

დირექტორი მ/შ
ნინო კობახიძე